ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

11 მარტიდან! ვფ[ფკბ სფჯ,ფ4 +
## სამარხვო კერძები
@ კფჰბ ლფ ^) სტსჰბ




@@ 2 @# vfhnb7 @)!$ 168 (6379) afcb5 #) stshb



# გელა ნიკოლაიშვილი: ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების ზუსტი მიზეზი შესაძლოა ვერასოდეს გავიგოთ“

გვ.3



## ზაზა ხატიაშვილი: ნაციონალები ჟვანიას საქმეზე ბინძური ვერსიის გავრცელებას აპირებენ“

რაზე მიანიშნებს დეპუტატ ხაჩიძის განცხადებები

გვ.4

## მამა გაბრიელის წმინდა ნაწილები სამებაში აღდგომამდე დარჩება

გვ.6



## მაია ნიკოლეიშვილი: ჟვანიას საქმეზე პროკურატურის ასეთმა სწრაფმა რეაგირებამ გამაკვირვა“

გვ.5



## რამაზ საყვარელიძე: ამერიკა კოაბიტაციას აღარ დაგვაძალებს“

გვ.2

## გიორგი კვირიკაშვილი: სომხეთთან სავაჭრო ბრუნვის მნიშვნელოვანი ზრდა გვაქვს

გვ.2

ISSN 1987-9385





გვ.6

## ჟვანიას და უსუპოვის ცხედრებს ექსპერტიზას უცხოელი ექსპერტები ჩაუტარებენ



გვ.2

## საქართველო ევროპის მხარდაჭერით სარგებლობს

# რამაზ საყვარელიძე: ამერიკა კოაბიტაციას აღარ დაგვაძალებს“

ნათია ხურცილავა

## ინტერვიუ პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძესთან

***—ბატონო რამაზ, ყოფილმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა შიდა დისკუსიები გარეთ გამოიტანა, რომელიც მასა და პრეზიდენტ მარგველაშვილს შორის ყოფილა. სხვათა შორის, ამ დაპირისპირების შესახებ გარკვეული ხმები დადიოდა. შეგიძლიათ თქვათ, რომ საქმე დაპირისპირებასთან გვაქვს, რომელიც შეიძლება უფრო გამწვავდეს?***

— მწვავე დაპირისპირება იმ შემთხვევაშია, როდესაც ორი მხარე ერთმანეთის მიმართ აგრესიული ხდება. ამ შემთხვევაში აშკარად ვხედავთ, რომ ეს ორი ფიგურა აგრესიული ერთმანეთის მიმართ არ არის.

***— მაშ, რა ხდება?***

— მე ვიტყოდი, რომ ეს უფრო დისტანცირებაა. ორ წამყვან ფიგურას შორის დისტანცირება მოხდა. ეს პოლიტიკურ ცხოვრებაში არცთუ იშვიათია. ბევრი ასეთი ფაქტი გვინახავს. საბედნიეროდ, ახლა ისეთი დაპირისპირება არ არის, რომლის მოწმენიც არაერთხელ ვყოფილვართ ქართულ პოლიტიკაში. დარწმუნებული ვარ, საქმე მწვავე დაპირისპირებამდე არ იქნება მისული. ბიძინა ივანიშვილის მხრიდან უკმაყოფილება გამოითქვა. მე თუ მკითხავთ, ივანიშვილმა ახსნა თავისი დამოკიდებულება და ის, რაზეც ჭორები ტრიალებდა საზოგადოებაში, მას ახსნა- განმარტება მისცა და ამით შეეცადა, წერტილი დაესვა.

***—გიორგი მარგველაშვილი თავისი პოზიციების დაცვით შეეცადა, თავი დაემკვიდრებინა, რომ ის არჩეული პრეზიდენტია? თუმცა, ვეტოსთან დაკავშირებით მთლად ვერ მოახერხა პოზიციის დაცვა, რადგან არ გამოიყენა...***

— გიორგი მარგველაშვილთან დაკავშირებით გამალებული შეფასებები გახსოვთ, რომელიც კეთდებოდა მასთან დაკავშირებით, რამდენად იქნებოდა ის დამყოლი, რამდენად შეიძლებოდა მასზე ზეგავლენის მოხდენა და ა.შ. მე მაშინვე ვთქვი, რომ გიორგი მარგველაშვილი არ იყო ასეთი ხასიათის ადამიანი, რადგან მე მას კარგად ვიცნობ და ვიცი, რომ მას შეუძლია თავისი პოზიციის დაცვა, რომ ის თუ არ თვლის საჭიროდ, მისი დაყოლიება არც ისე მარტივია.

***— მაგრამ აქ საუბარია ბიძინა ივანიშვილზე, რომელიც, თუ შეიძლება ითქვას, ერთგვარი თავდები იყო მარგველაშვილის მთელი საარჩევნო კამპანიის პერიოდში...***

— ვინც არ უნდა იყოს. გიორგი მარგველაშვილს მტკიცე ხასიათი რეალურად აქვს. ბიძინა ივანიშვილთან ექსპერტების ერთ-ერთ ცნობილ შეხვედრაზე მე განვაცხადე, რომ ერთად ვიყავით, როდესაც გიორგის ბიძინა ივანიშვილთან ერთ-ერთ საკითხზე გამწვავებული კამათი ჰქონდა. მიუხედავად ივანიშვილის ავტორიტეტისა, მარგველაშვილი არ შეპუებია ამ კამათში მას და მისი პოზიცია არ დაუთმია. ამდენად, მარგველაშვილი თავისი ბუნებით, ხასიათით არ არის მართვადი ტიპაჟი. ეს გამოვლინდა ახლა და სხვა არაფერი.



***— იმის თქმა გინდათ, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, პლასტილინი არ არის?***

— დიახ, პლასტილინი ნამდვილად არ არის. გიორგი მარგველაშვილს ეს ხასიათი უდავოდ ჰქონდა ადრეც, რასაც ვადასტურებ. ერთი ნიუანსია — ასეთი ხასიათი რომ ჰქონდა მარგველაშვილს, ეს იცოდა ივანიშვილმა. რამდენჯერმე ამის შესახებ თავადაც უთქვამს ივანიშვილს. როგორც ჩანს, პოზიციების შეუთანხმებლობა მოხდა ისეთ საკითხებზე, რომელიც ორივე მათგანისთვის მნიშვნელოვანი იყო. ვფიქრობ, სწორედ ამან გამოიწვია დისტანცირება და არა მარგველაშვილის ხასიათმა, რასაც ჩივის ბატონი ბიძინა. ვიმეორებ, ასეთი ხასიათი რომ ჰქონდა მარგველაშვილს, ეს ივანიშვილმა იცოდა. ეტყობა, თვითონ საკითხების სპეციფიკაში იყო ის ძაღლის თავი დამარხული და ამიტომ აღმოჩნდა მათი თანამშრომლობა მიუღებელი.

***— როგორ ფიქრობთ, ივანიშვილი ცდილობს თუ არა, კულისებიდან მართოს პოლიტიკური პროცესები თუ ეს მხოლოდ მისი გულწრფელი აღიარებაა?***

— ბიძინა ივანიშვილისთვის გულწრფელობა უცხო ხილი ნამდვილად არ არის. არაერთგზის გვინახავს ყოფილი პრემიერის გულწრფელი განცხადებები ჟურნალისტებთან. რაც შეეხება კულისებიდან მართვას, ესეც გულწრფელად თქვა, როდესაც პრემიერის პოსტიდან მიდიოდა, როდესაც განაცხადა: არსად მივდივარ, მე ვრჩები პოლიტიკაში იმის გარანტად, რომ ეს ხელისუფლება მოიქცევა ისე, როგორც დაგპირდითო. ამ სიტყვებიდან გამოდის, რომ ის რჩება კულისებიდან მმართველად, რაც არც მინუსია და არც პლუსი. კულისებიდან მართავდნენ ჩინეთს ერთი პერიოდი, ასევე ინდოეთს კულისებიდან მართავდა განდი, მაგრამ ეს მინუსი არ იყო, პირიქით, პროგრესი იყო. კულისებიდან მართვის მაფიოზური მაგალითებიც გვაქვს, რომლის შედეგადაც ქვეყანა ინგრევა. ამდენად, კულისებიდან მართვა ქვეყნის უცხო არ არის. ასეთი მმართველობა პროგრესის წყაროც შეიძლება იყოს და რეგრესისაც, გააჩნია, ასეთი მმართველობა საით წაიყვანს ქვეყანას, რა აქვს განზრახული ასეთი მმართველობის ავტორს.

***— სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლის მთავარი დანიშნულება ხომ ის არის, რომ გააკრიტიკოს ხელისუფლება, შენიშვნა მისცეს და ალტერნატიული გზა შესთავაზოს. ახერხებს ამას ივანიშვილი? გაითავისა ეს როლი?***

— მე მგონი, ჯერჯერობით ბოლომდე გათავისებული არ აქვს. არათუ როლი, არამედ ამოცანებიც ბოლომდე არ აქვს ჩამოყალიბებული ამ ორგანიზაციას, რომელიც ივანიშვილმა შექმნა. ჩემი აზრით, იმ ფინანსური რესურსებითაც და ავტორიტეტითაც მას შეუძლია ძალიან მნიშვნელოვანი რამის კეთება, რაც საქართველოს ძალიან აკლია.

***—კონკრეტულად რას გულისხმობთ?***

— კონცეფციებს ამა თუ იმ მიმართულებით. საქართველოს არ აკლია არც ჟურნალისტების ტრენინგი და არც ექსპერტების. ჟურნალისტიკა რომ ისეთი დონის იყოს, როგორიც საჭიროა, ამისთვის სხვა პირობებია საჭირო. არა მგონია, რომ არც ექსპერტების გამოჩეკა იყოს სასიცოცხლო აუცილებლობა ამ ქვეყნისთვის. მე ვიტყოდი, ეს უფრო დელიკატესია. რაც მეტი იქნება ექსპერტი, მით უკეთესი იქნება, მაგრამ, უკეთესია, იქითკენ წავიდეთ, რაც საერთოდ არ გვაქვს. ასეთი ტოტალური დეფიციტი ჩვენ კონცეფციების გვაქვს. არც ერთი მიმართულებით სერიოზული კონცეფცია დადებული არ გვაქვს. მე ვამბობ ამ 25 წლის მანძილზე და არა ბოლო ერთი თუ ორი წლის განმავლობაში. ამაში რაღაც მიზეზები არის. შეიძლება, ივანიშვილმა საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე დააფინანსოს პროექტები. ეს უფრო უპრიანი იქნება, უფრო პრიორიტეტული ქვეყნისთვის და მნიშვნელოვანი. ასეთი პროექტების დაფინანსებას ველოდები ივანიშვილისგან, რომელიც სხვას არავის აქვს. თქვენ ჟურნალისტი ხართ და გაიხსენეთ, ტრენინგი რამდენი ყოფილა, თუნდაც უცხოური გრანტებით ჟურნალისტებისთვის. ეს არ არის მნიშვნელოვანი მასშტაბების ჩვენი ქვეყნისთვის. ამიტომ მგონია, რომ ის უნიკალურობა, რომელიც ივანიშვილს გააჩნია, ჯერ ბოლომდე გააზრებული და გამოყენებული არ არის. ცხადია არცთუ ისე დიდი ხანია, ეს ორგანიზაცია შეიქმნა და გარკვეული დრო სჭირდება მიზნების ჩამოყალიბებას.

***— ბატონი რამაზ, ეს ბოლო დღეები ზურაბ ჟვანიას საქმე განსაკუთრებით აქტუალურია და მინდა გკითხოთ, შეძლებს პროკურატურა, ეს საქმე გახსნას თუ ფიქრობთ, რომ მხოლოდ დაბალი რგოლით შემოიფარგლოს, მაგალითად, მხოლოდ ექსპერტ ლევან ჩაჩუას დაკავებით?***

— თუკი ექსპერტი დააკავებს, ეს ნიშნავს, რომ სხვაზეც უნდა გავიდნენ, რადგან პროკურატურა მას ჰკითხავს, ვინ აიძულა, რომ თვალი დაეხუჭა რეალურად არსებულ დაზიანებებზე, ვინ იყო ამ ფალსიფიცირების ავტორი, რადგან აშკარაა, რომ საქმე არათუ შეცდომასთან, არამედ გაყალბებასთან გვაქვს.

***— მთავარია, საქმე გაიხსნება თუ არა?***

— ვფიქრობ, კლიმატი შეიცვალა.

***— რა კუთხით?***

— ვგულისხმობ პროკურატურის მუშაობას, სტილი შეიცვალა ამერიკაში პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტის შემდეგ. მეჩვენება, რომ უფრო გააქტიურდა და გათამამდა პროკურატურა.

***— რითი შეიძლება ეს იყოს განპირობებული?***

— ჩემი ვარაუდით, ამერიკის შეერთებულ შტატებში, თეთრ სახლში კოჰაბიტაციის მოთხოვნები შესუსტდა, ზოგადად დასავლეთის მხრიდან. ამან უფრო გაბედული გახადა პროკურატურა თავის მოქმედებებში. სწორედ ამის გამო მგონია, რომ პროცესები, გარკვეულწილა,დ უფრო მნიშვნელოვან ნიშნულამდე მივა, ვიდრე აქამდე ვიყავით მოწმენი.

***— შესაძლებელია, რომ ექსპრემიერ ჟვანიას საქმე გაიხსნას?***

— დიახ. მე ასე ვვარაუდობ.

***— ძალიან მაღალია საზოგადოების ინტერესი ამ საქმისადმი და სწორედ ამიტომ გეკითხებით.***

— დიახ, ბუნებრივია, რომ მაღალია ამ საქმისადმი ინტერესი და ბუნებრივია, რომ სურვილიც არის, ზურაბ ჟვანიას საქმე გაიხსნას.

# საქართველო ევროპის მხარდაჭერით სარგებლობს

ნათია ხურცილავა

უკვე ცნობილია, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელს საქართველო აგვისტოს ნაცვლად ივნისში მოაწერს.

ამის შესახებ განცხადება ევროკომისიის პრეზიდენტმა ხოსე მანუელ ბაროზომ გააკეთა.

ბაროზოს თქმით, ივნისში, საქართველოსთან ერთად, ასოცირების ხელშეკრულე-



ბას მოლდოვაც გააფორმებს.

ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას რა რეაქცია შეიძლება მოჰყვეს რუსეთის ფედერაციის მხრიდან? საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, საქართველოს პრევენციული ღონისძიებების გატარება დაწყებული აქვს.

ასე უპასუხა მაია ფანჯიკიძემ შეკითხვას იმის შესახებ, თუ რა საფრთხეებია მოსალოდნელი რუსეთისგან და შესაძლებელია თუ არა ჯავახეთში ვითარების დაძაბვა, რადგან ასოცირების ხელმოწერის თარიღმა ორი თვით გადმოიწია.

— ჩვენი გამოცდილებიდან გამომდინარე, გარკვეულწილად განსაზღვრული გვაქვს საფრთხეები, რომლებიც, შესაძლოა, არსებობდეს. პრევენციული ღონისძიებების გატარება დაწყებული გვაქვს. რასაკვირველია, ყოველთვის შეიძლება რაიმე გაუთვალისწინებელი მოხდეს, თუმცა ამ ეტაპზე, მე ვფიქრობ, მოვლენები შედარებით წყნარად წარიმართება და მოვახერხებთ იმას, რომ ასოცირების ხელშეკრულებას დაუბრკოლებლად მოვაწეროთ ხელი, — განაცხადა ფანჯიკიძემ.

კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც საგარეო უწყება გამოეხმაურა, ევროპარლამენტის პრეზიდენტ მარტინ შულცის განცხადებაა, რომელმაც განაცხადა, რომ 21-ე საუკუნეში, ცივი ომის შემდეგ ასეთი ღია ოკუპაცია არ მომხდარა.

საგარეო უწყება ყველას შეახსენებს, რომ საქართველო არის ევროპა და 21-ე საუკუნეში უკრაინა არ არის პირველი ქვეყანა, რომლის ტერიტორიული მთლიანობა დაირღვა.

ასე გამოეხმაურა მაია ფანჯიკიძე ევროპარლამენტის პრეზიდენტ მარტინ შულცის განცხადებას.

— საგარეო უწყება ყველას შეახსენებს, ვინც არ უნდა იყოს ის, რომ საქართველო არის ევროპა და 21-ე საუკუნეში ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც სხვა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი შეილახა და მოხდა საერთაშორისო ნორმების დარღვევა. ეს მოხდა 2008 წელს, საქართველოს 20% რუსეთის მიერ არის ოკუპირებული და მისი ორი რეგიონი გამოცხადებულია, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო რუსეთის მიერ. ეს, ალბათ, ევროპარლამენტის პრეზიდენტს გამორჩა და ჩვენ ჩვენი განცხადებით, თუმცა მარტონი არ ვართ ამ განცხადებაში, ამას მხარს უჭერს მთელი ევროკავშირი და, გარდა რამდენიმე სახელმწიფოსი, მთელი ცივილიზებული სამყაროს აბსოლუტურად ყველა წევრი, — განაცხადა ფანჯიკიძემ.

# გიორგი კვირიკაშვილი: სომხეთთან სავაჭრო ბრუნვის მნიშვნელოვანი ზრდა გვაქვს



„მიუხედავად იმისა, საგარეო პოლიტიკაში არის თუ არა თანხვედრა ჩვენს ქვეყნებს შორის, სომხეთი ჩვენი მეგობარი და მეზობელი სახელმწიფოა,'' - განაცხადა საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში", სადაც საქართველო-სომხეთის ერთობლივი სავაჭრო ეკონომიკური თანამშრომლობის კომისიის სხდომა მიმდინარეობდა.

„სომხური მხრიდან ჩამოსულები არიან სომხეთის ეკონომიკის მინისტრი და ასევე სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები. მე ვფიქრობ, რომ მიუხედავად იმისა, საგარეო პოლიტიკაში არის თუ არა თანხვედრა ჩვენს ქვეყნებს შორის და ჩვენ ვიცით, რომ სხვადასხვა ორიენტირი გვაქვს, სომხეთსა და საქართველოს შორის სავაჭრო ბრუნვა არის მნიშვნელოვანი ორივე ქვეყნისთვის. წინა წელს სავაჭრო ბრუნვის მნიშვნელოვანი ზრდა გვქონდა — 160%-მდე, ეს არის თითქმის ნახევარ მილიარდდოლარიანი სავაჭრო ბრუნვა", — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

მინისტრის თქმით, დღევანდელ შეხვედრაზე განხილული იქნება ისეთი საკითხები, როგორიც არის სხვადასხვა გეოგრაფიული დასახელების ავთენტურობა საქართველოსათვის ევროკავშირში, ასევე გარკვეული კომპანიების ტენდერებში მონაწილეობის საკითხები, სავაჭრო ბრუნვის ხელშეწყობა, მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მშენებლობა და ტურიზმის სფეროში თანამშრომლობა.

გიორგი კვირიკაშვილი მიიჩნევს, რომ სომხეთთან ტურიზმის სფეროში მნიშვნელოვანი ზრდა შეინიშნება და ამ მხრივ, ახალი ხელშეკრულების მომზადებაც არის საჭირო.



ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა სომხეთის ეკონომიკის მინისტრმა, ბაგრამ ავანესიანმაც. მისი თქმით, კომისიის დღევანდელი შეხვედრის მთავარი მიზანი არის რამდენიმე სერიოზული წინადადების განხილვა, რომლებიც მოიცავს ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებას იმისთვის, რომ საქართველოსა და სომხეთს შორის სავაჭრო ბრუნვა გაიზარდოს.

„ჩვენ ვფიქრობთ, რომ ძალიან კარგი პერსპექტივა გვაქვს, თუმცა ახლაც საკმაოდ დინამიურად ვითარდება სავაჭრო ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის, - განაცხადა ავანესიანმა.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა

[illegible]

www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

[illegible]

# გელა ნიკოლაიშვილი: ყოფილი პრემიერის გარდაცვალების ზუსტი მიზეზი შესაძლოა ვერასოდეს გავიგოთ“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილთან

***— ბატონო გელა, თქვენთვისაც ცნობილია, რომ ბოლო დღეებია ერთ-ერთი აქტუალური თემა ჟურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმეა. თუმცა საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ ხელისუფლებას ეს ყველაფერი გარკვეული პროცესების გადასაფარავად დასჭირდა. როგორია თქვენი, როგორც ადვოკატის შეფასებები? ჩვენ ჟვანიას საქმეზე არაერთხელ გვისაუბრია. რამდენად მიდის ფინალისკენ ჟვანიას საქმის გამოძიება?***

— მე რადიკალურ შეფასებას ვერც იმ მიმართულებით გავაკეთებ, რომ, არიქა, კულმინაცია არის და ხვალ უნდა გაიხსნას ეს საქმე ან უახლოეს მომავალში. მე ასეთ ნიშნებს ვერ ვხედავ, თუმცა, ვერც იმას ვიტყვი, რომ ეს რაღაცის გადასაფარავად უნდათ. მე შეიძლება მესამე ვერსია გავიზიარო, რომლის მიხედვითაც არის აქტიური მცდელობა, რომ ეს საქმე გახსნან, თუმცა არსებული მტკიცებულებები და მასალები ჯერჯერობით არ იძლევა საქმის გახსნის საშუალებას. ყოველ შემთხვევაში, ერთი, რასაც მე ვხედავ ამ მოცემულობიდან, არის ის, რომ აშკარად გაყალბებულია ადგილის დათვალიერების ოქმი, როგორც ჩანს, სიკვდილის მიზეზიც არის აშკარად სხვა და არა გაზით მოწამვლა, არსებული მონაცემებიდან გამომდინარე. ის, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი გაყალბებულია, ელემენტარულად იქიდანაც ჩანს, რომ ჩვენ ვნახეთ ის ფოტო სურათი, რომელიც გვაჩვენეს იმ დღეს, როდესაც მოხდა ეს შემთხვევა და გარდაიცვალა ზურაბ ჟვანია, როდესაც ის პიჯაკში ჩაცმული იჯდა სავარძელში, ხოლო ამ ფოტოებზე, რომლებიც აიტვირთა ინტერნეტში, ჩვენ ვნახეთ სურათი, სადაც ზურაბ ჟვანია არის იატაკზე დაწოლილი, პერანგის ამარა. შეუძლებელი იყო, რომ გარდაცვლილი ადამიანი ჯერ იყოს იატაკზე დაწოლილი პერანგით და შემდეგ ჩაიცვას პიჯაკი და ჩაჯდეს სავარძელში ან პირიქით — სავარძელში გარდაცვლილი და შემდეგ პერანგით აღმოჩნდეს იატაკზე. ასე რომ, გასაგებია, ადგილის დათვალიერების ოქმი გაყალბებულია, მაგრამ ის, რომ მკვლელობის, თუ ეს მკვლელობა იყო, ან დამკვეთები, ან შემსრულებლები, ან ხელის შემშლელები ამ ეტაპზე გამოკვეთილ არ არის, ყოველ შემთხვევაში, ეს საზოგადოებისთვის არ არის ცნობილი. დღეს არსებული ყველა ჩვენება მიანიშნებს უბედური შემთხვევის ვერსიაზე.

***— ბატონო გელა, თქვენთვისაც ცნობილია, რომ დაკითხვის შემდეგ ექსპერტი ლევან ჩაჩუა დააკავა პროკურატურამ...***

— დიახ, ლევან ჩაჩუას გულგრილობის მუხლით წაუყენეს ბრალი და ესეც რაღაც არადამაჯერებელ ნაბიჯს ჰგავს, იმიტომ რომ შეიძლება იქ მართლაც იყო გულგრილობა და მართლაც არ აღწერა სრულად გვამების ნიშნები, მაგრამ მთავარი ალბათ უფრო ქვეტექსტია, რომ მან ეს გააკეთა შეგნებულად, ვიღაცის დავალებით თუ მხოლოდ გულგრილობით? თუ მხოლოდ გულგრილობაზეა ლაპარაკი, ეს მუხლი არის ამნისტირებული და, აქედან გამომდინარე, მას ციხეში ჯდომა არ მოუწევს. ეს მუხლი სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს და იგი თავისუფლებაში გამოვა.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ აქ არ არის გულგრილობა და ეს არის შეკვეთის შესრულება?***

— სავარაუდოდ, ასე ითვლება, იმიტომ რომ შეუძლებელია, ისეთ გამოცდილ ექსპერტს, როგორიც ლევან ჩაჩუაა, ეს გამოჰპარვოდა.

***— პროკურატურაში აცხადებენ, რომ მათთვის უცნობია, თუ ვის მიერ მოხდა ფოტოების ატვირთვა, როგორ გაჟონა ინფორმაციამ. როგორ ფიქრობთ, ვის ინტერესებში შედიოდა ეს ყველაფერი?***

— მე ვფიქრობ, ეს შედიოდა იმ ადამიანების ინტერესებში, ვინც არ არის დაინტერესებული სიმართლის დადგენით, ვინაიდან ეს უდავოდ ხელს შეუშლის გამოძიებას. ჯერ პირველ რიგში ვიტყვი იმას, რომ ორივე მხარეს, ძველ ხელისუფლებასაც და ახალ ხელისუფლებასაც, ჰქონდა ხელმისაწვდომობა ამ მტკიცებულებაზე, რაც გამოქვეყნდა. ასე რომ, ეჭვი თანაბრად შეიძლება იქნეს მიტანილი, იმიტომ რომ ძველი ხელისუფლებისთვის ადრე, როცა ხელისუფლებაში იყო, ამის გადაღება პრობლემას არ წარმოადგენდა, შესაძლოა, ეს ყველაფერი შენახული ჰქონოდათ და ახალ ხელისუფლებას დღეს აქვს ეს და ხელი მიუწვდება. თუ ეს ყველაფერი გაკეთდა გადაფარვის მიზნით, რა ეჭვიც გამოითქვა და რასაც მე ვერ გავიზიარებ, იმიტომ რომ კონკრეტული დოკუმენტები არა მაქვს, ან რა უნდა გადაფარონ, დღეს



ისეთი არაფერი ხდება. თუმცა, თუ ეს იყო გადაფარვის მიზნით, მაინც ვერ იმუშავებს, იმიტომ რომ ადამიანებს უნდათ მართლაც შედეგი და არა კონკრეტული ფოტოები და რაღაცა სანახაობა. ამან შეიძლება ერთი დღე, ორი დღე რაღაცა ყურადღება მიიქციოს, მაგრამ ხვალ, ზეგ და მაზეგ შედეგებს მოითხოვს საზოგადოება. აქედან გამომდინარე, მე მაინც ვფიქრობ, რომ ვინც არ არის დაინტერესებული საბოლოოდ სიმართლის გარკვევით, სწორედ იმის ინტერესებს შეესაბამებოდა. ასეთი ძალიან ბევრი იქნება, კონკრეტულად ძნელია ამის თქმა, თუმცა უმთავრესი ეჭვი მაინც ძველი ხელისუფლების წარმომადგენლებზე მიდის.

***— თუმცა ისინი ახალი ხელისუფლებისკენ იშვერენ ხელს და აცხადებენ, რომ ეს მონტაჟია და ფოტოები არ არის ავთენტური...***

— ის დაზიანებები რომ აშკარად ჩანს და კიდევ სხვა დაზიანებები, მე მგონია, რომ ეს საეჭვო არ არის. გოგლა ჟვანიამ განაცხადა, რომ ეს ფოტოები არის ავთენტური და არ არის მონტაჟი. აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქმე გვაქვს სწორედ ავთენტურ მასალასთან და არა მონტაჟთან.

***— რამდენად უნდა დადგეს ყოფილი მაღალჩინოსნების პასუხისმგებლობის საკითხი, როგორ ფიქრობთ, არ უნდა დაიკითხონ ისინი?***

— დაკითხვით ყველა უნდა დაიკითხოს, ვისაც მეტ-ნაკლები შეხება აქვს ამ საქმესთან. მე არ ვიცი, შეიძლება, არიან კიდეც დაკითხულები, ჩვენ ხომ არ ვიცით საქმის მასალები. როცა საბოლოოდ სასამართლომდე მივა საქმე, მაშინ გახდება საზოგადოებისთვის ყველაფერი ცნობილი.

***— საკმაოდ დიდი დრო გავიდა უკვე და პროცესიც საკმაოდ გაიწელა. არის ვარაუდი, რომ შესაძლოა ვერც კი გაიხსნას ჟვანიას საქმე...***

— შესაძლოა. პირადად მეც მაგ აზრის ვარ, რომ თუ ეს მკვლელობა იყო, მე ისევ თუთი ვლაპარაკობ, ჩვენ, მაქსიმუმ, რასაც გავიგებთ, ეს იქნება მხოლოდ და მხოლოდ ის, რომ გარდაცვალების მიზეზი არ აღმოჩნდება გაზი და აღმოჩნდება სხვა მიზეზი. სხვა ვარიანტი მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში შეიძლება იყოს, თუ ალაპარაკდებიან უშუალო მონაწილეები ან შემკვეთები, ვისაც შეხება ჰქონდა მეტ-ნაკლებად ამ საქმესთან. თუმცა ჯერჯერობით ეს არ ჩანს და, აქედან გამომდინარე, მკვეთრი დასკვნების გამოტანა ჩვენ არ შეგვიძლია.

***— ბატონო გელა, შეუძლებლად რატომ მიგაჩნიათ, აღარ არსებობს აღარანაირი მტკიცებულება?***

— მაქსიმუმ შეიძლება ვთქვათ, იმ შემთხვევაში, ექსჰუმაცია თუ მოხდა გვამების, გვამის ექსჰუმაციამ შეიძლება დაადასტუროს, რომ გვამებს ზიანი ჰქონდა ძვალზე, ან არის თავის ქალის დაზიანება და ასე შემდეგ. ყოველ შემთხვევაში, ხორცზე დაზიანება ამდენი ხნის განმავლობაში არ რჩება და ძნელი იქნება, ექსპერტიზამ კატეგორიული დასკვნები გააკეთოს. ასეთ შემთხვევაში უკვე რა გამოდის, ჩვენ გავიგებთ, რომ გაზი არ ყოფილა გარდაცვალების მიზეზი და გარდაცვალების მიზეზი ყოფილა სხვა რამ, სხვაგვარი ზემოქმედება, მაგრამ ვინ იყო ამ ზემოქმედების მიზეზი, ვინ შეუკვეთა, რა გარემოებებში მოხდა, შემთხვევით მოხდა თუ წინასწარ დაგეგმილად, ამას მხოლოდ გავიგებთ მონაწილეთა აღიარებითი ჩვენებებით, თუ ასეთს მართლა ადგილი ჰქონდა. ჯერჯერობით კი არანაირი აღიარება ჩვენა არა გვაქვს, არანაირი ჩვენება ჩვენ არ ვიცით, არც გასაჯაროებულა და, როგორც ჩანს, არც არსებობს, რომელიც მიანიშნებს ამისკენ. თვითონ მონაწილეები და მონაწილეებში ვგულისხმობ მისი დაცვის წევრებს, ყვებიან, რომ უბედური შემთხვევა იყო, დეტალებში ყვებიან, როგორ და რა მოხდა, რომ ისინი რომ მივიდნენ, უკვე გარდაცვლილი დახვდათ. თუმცა ექსპერტიზა ცოტა სხვა რაღაცას ამბობს, რომ იქ გაზის მომაკვდინებელი დოზა არ იყო. აქედან გამომდინარე, ეს ყველაფერი არის იმდენად ბუნდოვანი და თან ათი წელია უკვე გასული, ეს კი საკმაოდ დიდი დროა იმისათვის, რომ საქმე გაიხსნას. რადგან ასეთი საქმეები ცხელ კვალზე თუ არ გაიხსნა, მერე ძალიან რთულია გახსნა. იმას, რომ საზოგადოება ოდესმე გაიგებს სიმართლეს, მე ამას ძალიან სკეპტიკურად ვუყურებ, კიდევ ვიმეორებ, თუ ეს მკვლელობა იყო. რადგან მე მაინც კატეგორიულად ვერ ვიტყვი, რა იყო ეს, გამომდინარე საქმის მასალებიდან და არა მოარული ხმებიდან.

***— ბატონო გელა, ამ შემთხვევაში, თუკი მოხდება ექსჰუმაცია და გვამების გაკვეთა და, ვთქვათ, დაიდო სხვა სახის სურათი, მართლაც აღმოაჩნდათ გარდაცვლილებს სხვადასხვა სახის დაზიანება. გამოძიება თავიდან არ დაკითხავს თუნდაც ჟვანიას დაცვის წევრებს, რომლებიც დღეს თავგამოდებით ამტკიცებენ, რომ ჟვანია გაზით მოწამვლის შედეგად გარდაიცვალა?***

— კი ბატონო, რა თქმა უნდა, დაიკითხებიან, მაგრამ ისინი მისცემენ იმავე ჩვენებას, რომ ჩვენ არ ვიცით, რანაირად და როგორ იყო. ჩვენ მივედით და დაგვხვდა გაზით გაგუდული. ჩვენ საიდან უნდა ვიცოდეთ, ვიღაცამ თუ რაღაცა ჩაარტყა, ან რა შეემთხვათ იმ ორ საათში, რა პერიოდშიც ჩვენთან არ იყვნენ. სად წავალთ ამის იქით, ხომ? ისევ გაიჭედება გამოძიება. აქედან გამომდინარე, ეს ყველაფერი მკითხაობას ემსგავსება. რაღაცა კონკრეტული მტკიცებულება უნდა მოიპოვოს გამოძიებამ ხომ და ეს კონკრეტული მტკიცებულება ექსჰუმაციის შედეგიც იქნება და მთავარი იქნება ვინმეს, კონკრეტული მოწმის ჩვენება, რომელიც, რამდენადაც მე ვიცი, ამ დროისათვის არ არსებობს.

***— ამჟამად ჯერი პროკურატურასა და მის აქტიურ მუშაობაზეა?***

— რა თქმა უნდა, როგორც ჩანს, ისინი მცდელობას არ აკლებენ, მაგრამ, ვნახოთ, შედეგი როგორი იქნება, მთავარია, კანონის ფარგლებს არ გავცდეთ და უდანაშაულო ადამიანები არ დავსაჯოთ მე ვერ ვიტყვი, რომ ამ შემთხვევაში უდანაშაულოა ლევან ჩაჩუა, მაგრამ, თუ იგი მხოლოდ და მხოლოდ გულგრილობის ბრალდებით არის და მხოლოდ და მხოლოდ მართლაც რაღაც არ დააფიქსირა, აქ მთავარი ის ფორმალობა არ არის, მთავარია, რატომ არ დააფიქსირა, ვინმემ უთხრა თუ თვითონ გამორჩა. მე კიდევ ვამბობ, რომ გამორჩენას, ფაქტობრივად, გამოვრიცხავ ასეთ გახმაურებულ საქმეზე, ასეთი გამოცდილი ექსპერტი არაფერს გამოტოვებდა. თუ მან რაღაცა გამოტოვა, აი, მანდ არის საძებარი, რატომ, ვისი მითითებით გამოტოვა.

***— იქნებ სწორედ ამიტომ არის დაპატიმრებული, რომ გამოძიებამ კარგად იცის, რომ მან შეგნებულად გამოტოვა მთავარი?***

— შესაძლებელია, ასეც იყოს, მე არც ამას გამოვრიცხავ. ვნახოთ, უახლოეს პერიოდში ეს გაირკვევა. თუმცა, ვიმეორებ, რომ ამ საქმის გახსნის დიდი იმედი არ მაქვს და არც ოპტიმისტურად ვარ განწყობილი.

## 21 წლის ახალგაზრდა ცეცხლსასროლი იარაღით თავის არეში დაჭრეს

თბილისში, წერეთლის გამზირზე, 21 წლის ახალგაზრდა მამაკაცი დაჭრეს. მეზობლები აცხადებენ, რომ მათ გასროლის ხმა არ გაუგიათ, მაგრამ ახალგაზრდას ცეცხლნასროლი გამჭოლი ჭრილობა აქვს მიყენებული თავის არეში.

ექიმების თქმით, პაციენტის მდგომარეობა კრიტიკულია, ის რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული.

,,ავადმყოფი მოყვანილი იქნა სასწრაფო დახმარების ბრიგადის მიერ. მდგომარეობა იყო უკიდურესად მძიმე. ცეცხლნასროლი ჭრილობა თავის მიდამოში, შემავალი მარცხენა საფეთქლიდან, გამავალი მარჯვენა თხემიდან. მდგომარეობა არის კრიტიკული“,— განაცხადა ექიმმა ბადრი სალირაშვილმა.

ცნობილია, რომ ახალგაზრდასთან სტუმრად მისი მეგობრები იმყოფებოდნენ და მომხდარის შესახებ სავარაუდოდ, სწორედ მათ შეატყობინეს პოლიციას და სასწრაფო დახმარების ბრიგადას, თუმცა ბინაზე მისულებს 21 წლის ახალგაზრდა სახლში მარტო დახვდათ.

ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები ამ დრომდე მუშაობენ. მომხდარზე მიმდინარეობს გამოძიება მკვლელობის მცდელობის მუხლით. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, უკვე დადგენილია იმ პირების ვინაობა ვინც წუხელ დაჭრილის სახლში იმყოფებოდნენ. მათ სამართალდამცავები ეძებენ.

მედიანიუსი

## ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადებისა და გასაღების ფაქტზე სამი ადამიანი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლებმა ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადებისა და გასაღების ფაქტზე, მოქალაქეები — კახაბერ გასვიანი, აკაკი ენუქიძე და ალექსანდრე შეყილაძე დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ კახაბერ გასვიანმა, აკაკი ენუქიძემ და ალექსანდრე შეყილაძემ, დაამზადეს და გაასაღეს ყალბი საგადასახადო ანგარიშ — ფაქტურა თანდართული სასაქონლო ზედნადებებით, რომლის თანახმად, თითქოს მათ მოქალაქეს 180 000 ლარის ღირებულების ფქვილი და შაქარი მიაწოდეს, ამის სანაცვლოდ 52 000 ლარი აიღეს.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210 — ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4 დან 7 წლამდე ვადით.

მედიანიუსი

## წითელ ხიდზე მესაზღვრეების პროფესიული დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ და სასაზღვრო პოლიციის უფროსმა ზურაბ გამეზარდაშვილმა მესაზღვრეებს პროფესიული დღე პირადად მიულოცეს.

შს მინისტრმა და სასაზღვრო პოლიციის უფროსმა სასაზღვრო



პოლიციის 163 მოსამსახურე, რომლებმაც თავი გამოიჩინეს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვისა და სასაზღვრო უწყების განვითარების საქმეში, მედლებით, სამკერდე ნიშნებითა და სიგელებით დააჯილდოვეს.

შსს-ს სასაზღვრო პოლიციის უფროსმა მინისტრს და მინისტრის მოადგილე ვახტანგ გომელაურს სამკერდე ნიშანი — „საპატიო მესაზღვრე“ გადასცა, — აცნობეს „მედიანიუსს“ შსს-დან.

ღონისძიებას საქართველოს შს სამინისტროს, ადგილობრივი ხელისუფლების, აშშ-ს საელჩოს, ავსტრიის შინაგან საქმეთა სამინისტროს, ევროკავშირის, გაეროს განვითარების ფონდის, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის, საფრანგეთის, თურქეთის, ლატვიისა და უკრაინის სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ღონისძიებაზე საპატიო სტუმრად მიწვეული იყო 11 წლის გუდამაყრელი ბაჩო წიკლაური, რომლის სურვილი და მიზანია მესაზღვრე გახდეს. მან შს მინისტრისგან საჩუქრები მიიღო.

მესაზღვრის დღესთან დაკავშირებით, სასაზღვრო პოლიციის საქმიანობის ობიექტურად გაშუქებისთვის, მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ ჟურნალისტებს მადლობის სიგელები გადასცა. მესაზღვრეების პროფესიული დღე საქართველოში 15 წელია აღინიშნება.

მედიანიუსი

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

[illegible]

ქ-ნი მარიამი

☎ 599-90-54-78, 234-02-38

# ზაზა ხატიაშვილი: ნაციონალები ჟვანიას საქმეზე ბინძური ვერსიის გავრცელებას აპირებენ“

## რაზე მიანიშნებს დეპუტატ ხაჩიძის განცხადებები

შორენა მარსაგიშვილი

ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებიდან 9 წლის თავზე ეს თემა ძველებურად აქტუალური გახდა. ინტერნეტში გავრცელებული ფოტოების შემდეგ მთავარმა პროკურატურამ ყოფილი პრემიერის დაცვის ცვლის უფროსი და სასამართლო ექსპერტი დააკავა.

ხელისუფლების წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ეს საქმე სულ მალე გაიხსნება და ყველა გაიგებს სიმართლეს. ამის იმედი აქვს ყოფილი პრემიერის ოჯახსაც. გარდაცვლილი პრემიერის ძმის, გოგლა ჟვანიას განცხადებით, გამოძიება სწორი მიმართულებით მიდის.

განსხვავებულად უყურებენ ამ მოვლენებს ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები. მათ ჯერ ფოტოების გავრცელების გამო გაინერვიულეს თავი. გუშინ კი ლევან ჩაჩუას და მიხეილ ძაძამიას დაკავების გამო შეყარეს ქვეყანა.

ზურაბ ჟვანიასა და ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილე რაულ იუსუპოვის გარდაცვალების საქმეზე პროკურატურამ ექსპერტი ლევან ჩაჩუა დააკავა. მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის განყოფილების ყოფილი გამგე სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზეა დაკავებული. მისი დაკავების შესახებ პროკურატურამ ღამის 12 საათზე გამართულ ბრიფინგზე გვაუწყა.

მორიგი დაკავების შესახებ კი ერს ინფორმაცია გუშინ, დღის 12 საათზე მიაწოდეს. პროკურატურის ცნობით, პრემიერ-მინისტრის დაცვის ცვლის უფროსი 2014 წლის 21 მარტს სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე დააკავეს, რასაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა.

— გამოძიებით დადგენილია, რომ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად, პრემიერ-მინისტრისა და მისი ოჯახის წევრების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავდა და დამტკიცდა შესასრულებლად სავალდებულო „საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას და მისი ოჯახის წევრების დაცვითი ღონისძიებებით უზრუნველყოფის გეგმა“, რომლის თანახმად, პრემიერ-მინისტრის დაცვას არ შეეძლო, მიეტოვებინა დასაცავი ობიექტი. მიუხედავად აღნიშნულისა, 2005 წლის 3 თებერვალს, ღამის საათებში, ზურაბ ჟვანიას დაცვის ცვლის უფროსმა მიხეილ ძაძამიამ არაჯეროვნად შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა და მიატოვა დასაცავი ობიექტი დაცვის გარეშე, რა პერიოდშიც ყოფილი პრემიერ-მინისტრი გარდაცვლილი აღმოჩნდა. ამავდროულად, მიხეილ ძაძამიამ დადგენილი სავალდებულო მოთხოვნის მიუხედავად, დაცვის ღონისძიებების დაგეგმვის და ოპერატიული მართვის სამმართველოს შესაბამის განყოფილებას დასაცავი პირის გადაადგილების შესახებ არ შეატყობინა, — აღნიშნა პროკურორმა ნათია მეზვრიშვილმა.

მისივე ინფორმაციით, ამით ძაძამიამ ჩაიდინა სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვნად შესრულება მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც ზურაბ ჟვანიას გარდაცვალება გამოიწვია.

ნაციონალური მოძრაობის წევრი, დეპუტატი ირმა ნადირაშვილი ექსპერტ ლევან ჩაჩუას დაკავებასთან დაკავშირებით აცხადებს, რომ პროკურატურამ ახალი მძევალი აიყვანა.

— ელექტრონიკასავით მთელი საქართველო ჰაკიმ ფაშას (ღარიბაშვილს) დენზე ჰყავს მიერთებული. ღამის 12 საათზე ბრიფინგის დანიშვნა ერთადერთ მიზანს ემსახურებოდა, მუდმივ დაძაბულობაში, საგიჟეთში აცხოვრონ ადამიანები. პროკურატურამ ახალი მძევალი აიყვანა. თქვენ თავად ხართ ამ საქმეზე თქვენივე შექმნილი ყალბი გარემოებების და დაპირებების მძევლები და ახლა უშედეგოდ ეძებთ გამოძრომის გზას. ცუდია, რომ ამ გზაზე არანაირ სიმდაბლეს არ ერიდებით — პროკურატურიდან სურათების გამოპარებისა და გავრცელების ჩათვლით, — აღნიშნავს ირმა ნადირაშვილი.

ექსპერტ ლევან ჩაჩუას დაკავებას დეპუტატი ნუგზარ წიკლაურიც აპროტესტებს.

— პროკურატურის ბრიფინგით მთავრობა აღიარებს, რომ მტკიცებულებები არ არის, ბრალდება უსუსურია და საქმე ვერ გაიხსნა. ეს შუაღამის ცირკი კი ეჭვების დასატოვებლად დასჭირდათ. მალე იტყვიან, რომ ახალი ექსპერტიზა ძველი ძალადობის კვალს ვერ დაადგენს დროის გასვლის გამო. მგონი აღარავინ დარჩა, ვისაც ამათ დეგენერაციაში ეჭვი ეპარება, — წერს ნუგზარ წიკლაური.

მიხეილ ძაძამიას დაკავების ფაქტი საეჭვოდ ეჩვენება ნაც-მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს, დეპუტატ მიშა მაჭავარიანს.

— მიხეილ ძაძამიასთან შეიძლება გარიგება იყოს დადებული, რითაც ხელისუფლება ტყუილის თქმას ცდილობს. ზურაბ ჟვანიას ექსპერტიზას, ჩაჩუას გარდა, სხვა ადამიანებიც ესწრებოდნენ. ის იყო პიროვნება, რომელიც ხელს უშლიდა ხელისუფლებას იმაზე საუბრით, რაც არის სიმართლე. ჩაჩუა არის პრინციპული და არ თქვა ტყუილი. არ გამოვრიცხავ, რომ ძაძამია იმ მოტივით არის დაკავებული, რომ მასთან რაღაცა ნიშნით გარიგება დადეს. დაკავების პროცესიც უცნაურად მოხდა. უცებ გამოჩნდა ძაძამია, რომელიც დასჭირდათ მათ, რომ მათსავე აბსურდულ ვერსიაზე ისაუბროს, — აცხადებს მაჭავარიანი.

საპარლამენტო უმცირესობის წევრ ზურაბ ჯაფარიძის განცხადებით კი, ლევან ჩაჩუა უკანონოდ არის დაპატიმრებული. მისი განმარტებით, ლევან ჩაჩუას მიმართ წაყენებული ბრალდების მუხლი ხელისუფლების მიერ ამნისტირებულია და ხანდაზმულობის ვადა გასულია.

— ლევან ჩაჩუას დაკავებით ხელისუფლება ცდილობს, მასზე ზეწოლა განახორციელოს. მისივე თქმით, ფოტოკადრები, რომლებიც ინტერნეტში გავრცელდა, როგორც პროკურატურაში, ისე შინაგან საქმეთა სამინისტროში ინახებოდა და ამის შესახებ ხელისუფლების წარმომადგენლებმაც კარგად იცოდნენ. არც ერთ ქვეყანაში ექსპერტიზა არ ტარდება მარტო და ჩატარებულ ექსპერტიზასაც, სულ მცირე, ხუთი ადამიანი ესწრებოდა. ექსპერტიზის პროცესს იღებდა ორი კამერა, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურას ეკუთვნოდა, ამიტომ, ფირები ორივე დაწესებულებას ჰქონდა. რაც შეეხება ლევან ჩაჩუას დაკავებას, ის მოხდა უკანონოდ. რა მუხლითაც მას ბრალი წაუყენეს, ერთი მხრივ, ხელისუფლების მხრიდან არის ამნისტირებული და მეორე მხრივ, ხანდაზმულობის ვადა არის გასული. ეს ყველაფერი ემსახურება იმას, რომ ჩაჩუაზე ზეწოლა განხორციელდეს და მას ათქმევინონ ისეთი რამ, რაც სინამდვილეში არ ყოფილა, — აცხადებს ზურაბ ჯაფარიძე.



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ზაქარია ქუცნაშვილი „ნიუპოსტთან“ საუბარში განმარტებებს აკეთებს იმ ინფორმაციაზე, რომლის მიხედვით ლევან ჩაჩუას ბრალდება ამნისტირებულია.

ქუცნაშვილის განმარტებით, ბრალდება ნამდვილად არის ამნისტირებული, თუმცა ეს არ იძლევა იმის საფუძველს, რომ პროკურატურას ჩაჩუა არ დაეკავებინა.

დეპუტატი მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე საინტერესო არა ჩაჩუას დასჯა, არამედ სიმართლის გარკვევაა.

— ნამდვილად, ეს ბრალდება ამნისტირებულია და არა მარტო ეს მუხლი. ყველა მუხლი სისხლის სამართლის კოდექსში ამნისტირებულია, გარდა იმ მუხლებისა, როგორებიც განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში და გაუპატიურებაა. ჩვენ როდესაც გამოვაცხადეთ ამნისტირება, იქ ყველა სასჯელი ერთი მესამედით შევამცირეთ. თუმცა, ამნისტირება ნიშნავს იმას, რომ თუ პიროვნებას ბრალი დაუდასტურდა, სარჩელის გარკვეული ნაწილი იქნება ნაპატიები. პასუხისგებაში მიცემა და დაკავება უკავშირდება იმას, რომ ბრალი ედება პიროვნებას დანაშაულის ჩადენისთვის. ამ ეტაპზე ჩაჩუასთან მიმართებაში საზოგადოებას აინტერესებს, ჩაიდინა თუ არა დანაშაული. მიზანი არ არის დასჯა და მიზანი არის, რომ გაირკვეს სიმართლე, — განუცხადა „ნიუპოსტს“ ზაქარია ქუცნაშვილმა.

რაც შეეხება უმცირესობის მხრიდან ბრალდებებს, რომ პროკურატურა ჩაჩუაზე ზეწოლას განახორციელებს, ქუცნაშვილი პასუხობს, რომ ნაციონალური მოძრაობა კრიმინალების ქომაგად იქცა.

— მე ვურჩევ მათ, რომ გაემიჯნონ დანაშაულებრივ წარსულს და დაიცვან ხალხის ინტერესები. როგორც ჩანს, თვითონაც გასვრილები არიან და ალბათ ერთმანეთს ეფარებიან, — განაცხადა დეპუტატმა.

ლევან ჩაჩუას დაკავება მოულოდნელი აღმოჩნდა გოგლა ჟვანიასთვის. მისი თქმით, ზურაბ ჟვანიას ოჯახი გამოძიებასთან თანამშრომლობას აპირებს.

— ოჯახი ექსჰუმაციასაც დათანხმდება, თუ ამას საჭიროება მოითხოვს. „ნებისმიერ საგამოძიებო მოქმედებას ჩვენ დავეთანხმებით, რაც აუცილებელი იქნება, — აღნიშნა გოგლა ჟვანიამ.

საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი, პარლამენტის ექსსპიკერი დავით ბაქრაძე ჟვანიას თემის წამოწევით შეშფოთებულია. მისი თმით, დაუშვებელია ამ ამბავზე პოლიტიკური სპეკულაციები. ამიტომაც ის პროკურატურას საქმის სასწრაფო წესით გამოძიებისკენ მოუწოდებს.

— ეს არის საქმე, რომელიც შეიძლება იყოს უზარმაზარი პოლიტიკური და ადამიანური წყალგამყოფი მთლიანად საზოგადოებისთვის და ჩემთვისაც. ამიტომ, ასეთი ტიპის საქმეებზე პოლიტიკური სპეკულაცია და საზოგადოებრივი აზრის მუდმივი დაზაფვრა არის აბსოლუტურად მიუღებელი. ამიტომ, მე მინდა მოვუწოდო პროკურატურას, უსწრაფესად დაამთავროს ამ საქმის გამოძიება და უფრო მეტიც, მე მინდა მათ კატეგორიულად მოვუწოდო, დღეის მდგომარეობით საჯარო გახადოს ყველა ის მასალა, რომელიც წელიწადნახევრის განმავლობაში პროკურატურამ ახალი და დამატებითი მტკიცებულებების სახით შეაგროვა თუ არსებობს, — განაცხადა ბაქარაძემ.

საზოგადოებას ლევან ჩაჩუას დაცვისკენ მოუწოდებს საპარლამენტო უმცირესობის წევრი გივი თარგამაძე. მას გონივრული ეჭვი აქვს, რომ ჩაჩუას მიმართ პროკურატურა ზეწოლას განახორციელებს და ამიტომ მისი დაცვა ახლა ყველაზე მნიშვნელოვანია.

— ჰაკიმ ფაშა ჩოკუტაევ-ღარიბაშვილის მთავრობა ერთ დიდ უნიათო რეჟისორთა ჯგუფად გარდაიქმნა. ძალიან მნიშვნელოვანია ლევან ჩაჩუას დაცვა. პროკურატურის დღევანდელი მოქმედებები მიუთითებს იმაზე, რომ ადამიანზე სერიოზული ზეწოლა განხორციელდება. ვფიქრობ, ეს მოქმედებები ამაზრზენი და სამარცხვინოა. ეს შეურაცხყოფს ქართველ საზოგადოებას, — ამბობს თარგამაძე.

უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი გიგა ბოკერია ჟვანიას გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს ხელისუფლების მიერ აგორებულ ბინძურ თამაშს უწოდებს.

— თუ ხელისუფლებას და პროკურატურას რაიმე მტკიცებულება აქვს ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით, დროზე გაარკვიონ ყველაფერი. შეწყვიტოს ამ ხელისუფლებამ ეს ბინძური თამაში გარდაცვლილ ადამიანთან, ცნობილ პოლიტიკურ ფიგურასთან, საზოგადო მოღვაწესთან და მის სიკვდილთან დაკავშირებით. თუ რაიმე მტკიცებულება აქვთ მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, დროზე გაარკვიონ ყველაფერი. როდესაც თვითონ ავრცელებენ იმ მასალებს, რომელიც წლებია გამოძიების ფაილში დევს და რომლის შესახებ ოჯახის წევრებმაც იცოდნენ, ეს არის ნაწილი ძალიან უზნეო თამაშის, — განაცხადა გიგა ბოკერიამ.

საინტერესო და პროვოკაციული განცხადება გააკეთა დეპუტატმა გოგა ხაჩიძემ. გოგა ხაჩიძემ თავის „ფეისბუქის“ გვერდზე ასეთი რამ დაწერა: როდემდე უნდა ვუფრთხილდებოდეთ ჩვენ ზურაბ ჟვანიას რეპუტაციას, როდესაც მისი ოჯახიც არ უფრთხილდება და მეორე მხრიდან ხელისუფლება აქეთ გვაწვებაო. ეს მინიშნება იყო რაღაცაზე, რომ აი, ჩვენ... არის კიდევ რაღაც სხვა მასალები, რომელიც ზურაბ ჟვანიას რეპუტაციას ხელყოფს და შეურაცხყოფს და, აქედან გამომდინარე, ჩვენ ამას აქამდე ვმალავდითო.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი უმცირესობის წევრის, გოგა ხაჩიძის განცხადებას მინიშნებად მიიჩნევს. ის ჟვანია-იუსუპოვის გარდაცვალების ოფიციალურ ვერსიასაც ეჭვქვეშ აყენებს.

— შეუძლებელია ორი ადამიანი ერთდროულად გაგუდულიყო, თუ ვთქვათ, ერთი მართლაც გაიგუდა, მეორეს ექნებოდა ძალა, თუნდაც გამოეკრა ხელი ფანჯრისთვის, ან კარი გაეღო, შეუძლებელია, რომ ორი ადამიანის ორგანიზმი ზუსტად ერთ მომენტში გაგუდულიყო. ჟვანიას საქმის გამოძიების პასუხისმგებლობა დღევანდელ პროკურატურაზეა. მათ უნდა გვითხრან რეალურად, რა მოხდა და ეს მანიპულირება, 10 წლის განმავლობაში რაც ხდება, უნდა შეწყდეს, — განაცხადა ზაზა ხატიაშვილმა ტელეკომანია „კავკასიის“ ეთერში.

ჟვანიას საქმესთან დაკავშირებით 2 დღის წინ განცხადება გააკეთა მიხეილ სააკაშვილმაც. მის შეფასებებს არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. დეპუტატ ზურაბ აბაშიძეს თვალში ერთი გარემოება მოხვდა. მისი თქმით, ჟვანიაზე საუბრისას სააკაშვილი ძალიან ღელავდა.

— მომეჩვენა, რომ სააკაშვილი ძალიან ღელავდა. თუკი ის და „ნაციონალური მოძრაობის“ ყველა ლიდერი „სუფთაა“, რატომ ნერვიულობს ყოფილი პრეზიდენტი?! ლევან ჩაჩუა არის პიროვნება, რომელმაც ზურაბ ჟვანიასა და რაულ უსუპოვის ცხედრებს ექსპერტიზა ჩაუტარა და აღნიშნული საქმის პირდაპირი მოწმეა. როგორც ვიცი, მას რამდენიმე საათის განმავლობაში ჰკითხავდნენ და რახან დააკავეს, სავარაუდოდ, დასმულ კითხვებს ჯეროვანი პასუხი ვერ გასცა. საზოგადოება, ისევე, როგორც პოლიტიკური სპექტრი, ლევან ჩაჩუას საქმესთან დაკავშირებით უკვე სასამართლოს გადაწყვეტილებებს უნდა დაელოდოს, — განაცხადა „ფრონტნიუსთან“ საუბარში ზურაბ აბაშიძემ.

სოციალურ ქსელში გავრცელებული ზურაბ ჟვანიასა და რაულ უსუპოვის ცხედრების ამსახველი მასალა 2005 წელს დათა ახალაიას კაბინეტში იყო, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ჟურნალისტმა ვახტანგ კომახიძემ განუცხადა.

ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით გადაღებული საგამოძიებო ფილმის — „ტყვიის გარეშე“ ავტორის ინფორმაციით, აღნიშნული მასალა უშიშროების სამინისტროში ჟვანიას გარდაცვალების დღესვე მიიტანეს.

— სოციალურ ქსელში ორი დღის წინ გავრცელებული მასალა, სავარაუდოდ, სახელდახელოდ არის გაკეთებული და ვიდეოს ფორმით არ არის ჩაწერილი. დედანი არის ფოტომასალა. შეიძლება იყოს რაღაც ნაწილი ვიდეომასალიდან გაკეთებული. ამ მასალის შესახებ ვიცოდი. ჩემი მოსაზრებით, ეს არის ფოტომასალა, რომლის შესახებაც მე მქონდა ინფორმაცია. მასალა, რომელზეც მე მქონდა ინფორმაცია, აღწერილობით ძალიან ჰგავს სოციალური ქსელებით გავრცელებულს. მასალა, რომელზეც მე ვსაუბრობ, ჰქონდა უშიშროების სამინისტროს, კერძოდ, დათა ახალაიას გავლენის ქვეშ მყოფ ადამიანს, გვარად კოტარიას. მათ გააკეთეს ეს მასალები. უშიშროების სამინისტროში მიიტანეს იმ დღესვე და მას შემდეგ როგორ აღმოჩნდა პროკურატურაში, უცნობია. ვიცი, რომ ეს მასალები ჰქონდათ დათა ახალაიასთან დაახლოებულ ადამიანებს. ეს მასალა დათა ახალაიას კაბინეტში იყო 2005 წელს, როცა მოხდა ჟვანიას გარდაცვალების შემთხვევა. მე ამის შესახებ მოწმეებისგან ვიცი. შემდეგ ეს საქართველოდან გაიტანეს, სად წაიღეს, იყო თუ არა პროკურორის სეიფში, ეს უკვე არ ვიცი, — აცხადებს კომახიძე.

ჟურნალისტი იხსენებს, რომ როდესაც ის ფილმზე მუშაობდა, მაშინაც ამბობდნენ, რომ ზურაბ ჟვანიას ჰქონდა სხვა დაზიანებებიც, რომელზეც ოფიციალურად ინფორმაცია არ ვრცელდებოდა. კომახიძის ინფორმაციით, გამოძიებას ურთიერთგამომრიცხავ ჩვენებებს აძლევდა ჟვანიას დაცვის ცვლის უფროსი მიხეილ ძაძამიაც, რომელიც პროკურატურამ დღეს დააკავა. კომახიძე იხსენებს, რომ ძაძამია ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას აძლევდა ჟვანიას ოჯახსაც.

— მე ვარ ამისი მოწმე. ოჯახის დახმარებით ერთხელ ჩავწერე ძაძამიას მონათხრობი და ის იყო ძალიან წინააღმდეგობრივი. გამოძიებასაც მან მისცა წინააღმდეგობრივი ჩვენებები. ჯერ თქვა, რომ ალკოჰოლური სასმელი და სურსათი შეიძინა სააკაძის მოედანზე; როცა აღმოჩნდა, რომ იმ დროისთვის ის მაღაზია ვერ იქნებოდა ღია, მერე გადათქვა და თქვა, რომ შეიძინა საბურთალოს ქუჩაზე. ხომ არ შეიძლება ადამიანს, პრემიერ-მინისტრის დაცვის წევრს, რომელიც ძალიან ხშირად დადის იმ ტერიტორიაზე, აერიოს, სად შეიძინა სურსათი. ამის გარდა, ვერ აზუსტებდა, ისმოდა თუ არა გაზის ხმა, როდესაც შევიდნენ ბინაში. ის ამბობდა, რომ გაიგო გაზის ხმა, სინამდვილეში „თბილგაზს“ საერთოდ გადაკეტილი ჰქონდა გაზის სისტემა და ხმას ვერ გაიგებდა. წინააღმდეგობრივი იყო მისი ჩვენება, როდესაც ამბობდა, რომ ფანჯარა გაალეს და ისე შევიდნენ ბინაში მას შემდეგ, რაც ზურაბ ჟვანია სატელეფონო ზარებს არ პასუხობდა. შემდეგ, ექსპერიმენტის დროს, აღმოჩნდა, რომ ფანჯრიდან ისინი ვერ შევიდნენ. სხვა არაერთი მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა ჰქონდა ჩვენებაში, — აცხადებს ვახტანგ კომახიძე.

ამ საქმესთან დაკავშირებით ალბათ კიდევ ბევრ და უცნაურ ვერსიებს მოვისმენთ. ოჯახი დარწმუნებულია, რომ სიმართლე მალე გაირკვევა.

# მაია ნიკოლეიშვილი: ჟვანიას საქმეზე პროკურატურის ასეთმა სწრაფმა რეაგირებამ გამაკვირვა“

შორენა კოწოწაშვილი

## ინტერვიუ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტ მაია ნიკოლეიშვილთან

***— ქალბატონო მაია, საკმაოდ მოულოდნელი იყო ინტერნეტით გარდაცვლილ ზურაბ ჟვანიას და რაულ უსუპოვის ფოტოების გავრცელება. რა რეაქცია გქონდათ, როგორც ექსპერტს, ამ ფოტოების ნახვისას და რითი ახსნით, ფოტომასალის ამ პერიოდში გავრცელებას? ასეთი ვერსიაც გამოითქვა, ამით ივანიშვილის იმ განცხადების გადაფარვა უნდოდათ, რომელიც მან პრეზიდენტთან დაკავშირებით გააკეთა.***

— ამ ფოტოების გავრცელებას ბიძინა ივანიშვილის მიერ მარგველაშვილის მისამართით გაკეთებულ განცხადებებს მე ვერ დავუკავშირებ, რადგან ამ განცხადებაში საოცარი არაფერი იყო. ეს იყო ჩვეულებრივი ადამიანის მიერ გამოთქმული აზრი, მე ასე მივიღე. მართალი გითხრათ, დაწყობილ-დავარცხნილი ურთიერთობებისგან, ყალბად დავარცხნილი ურთიერთობებისგან განსხვავებით, მომეწონა, რომ ადამიანმა თქვა ის, რასაც ფიქრობს. ძალიან კარგი, თუ ჩვენს პრეზიდენტებს, პრემიერებს და მინისტრებს ვიღაცის აზრი შეანჯღრევს. მით უმეტეს, რაც ითქვა ივანიშვილის მხრიდან, აბსოლუტურად ვეთანხმები. ჩემთვისაც ძნელი წარმოსადგენი იყო ერთი ძმა იქეთ, მეორე — აქეთ. მუშნის და დათას ვარიანტი ძმებ მაჭავარიანებში ვერ გადავიტანე. არც ერთია მუშნი, არც მეორეა დათა, მაჭავარიანები არიან ვანო და მიშა. ვეთანხმები, ივანიშვილის გამოთქმულ მოსაზრებას. მართალი გითხრათ, მესიამოვნა კიდეც, თითქოს ჩემს აზრს გამოეხმაურა. ადამიანმა თავისი აზრი გამოთქვა და კარგია, რომ ეს აზრი ანგარიშგასაწევია. ძლივს გველირსა ის, რომ ვერტიკალურად ზევიდან კი არ მოდის, სამოქალაქო სექტორიდან შეიძლება არსებობდეს კომპეტენტური პიროვნება, რომლის აზრსაც ანგარიში გაეწევა. თუ აუცილებელია ფოტოების გავრცელების რაიმესთან დაკავშირება, მე უფრო სხვა პროცესებს დავუკავშირებდი. მაგალითად, სააკაშვილის პროვოკატორობის გააქტიურებას; მის გააქტიურებას საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე. ის, რასაც სააკაშვილი დღეს აკეთებს, დარწმუნებული ვარ, რომ ისევ და ისევ უკრაინის გარკვეული მხარდაჭერა კი არა, სააკაშვილი აჟიტირებულია და თავის ხედვებში ალბათ, თავისი მესიანიზმიდან გამომდინარე, მისი აკვიატებული მესიანიზმიდან გამომდინარე, მას უკვე უმაღლეს, მსოფლიო მმართველზეც კი აქვს ფიქრები და ალბათ თავს ასეთად წარმოიდგენს. მე უფრო ამას დავუკავშირებდი. არ მინდა სააკაშვილზე დიაგნოზის დასმა. ვამბობ, მესიანიზმის აკვიატებული იდეით შეპყრობილი ადამიანია, დიაგნოზს არ ვაზუსტებ, რომელიც დღეს საკმაოდ მავნებლურ საქმიანობას ეწევა. მას გვერდში დაუდგა საკმაოდ აგრესიული ბიძა — თემურ ალასანია. მისი ბიძა გამოჩნდა ცოტა ხნის წინ. მე თითის დაქნევად მივიღე მისი გამოსვლა. პირადად ჩემთვის, რიგითი მოქალაქისთვის, ეს იყო მორიგი თითის დაქნევა საქართველოს მოქალაქეებისთვის. ახლაც თვალწინ მიდგას მისი აგრესიული სახე, რომელიც მენტორული ტონით ისევ ჩვენ გვადანაშაულებდა. იქნებ სწორედ ამას, საერთაშორისო ასპარეზზე ბიძა-დისშვილის გამოჩენას და ძალიან გააგრესიულებას უკავშირდება ამ კადრების გავრცელება. იქნებ სწორედ აი, ამის პასუხია გარედან, ანუ არა საქართველოში, შიგნით, არამედ გარეთ იმიტომ, რომ ეს პროცესები მარტო საქართველოში კი არ ვითარდება. იქნებ სწორდ ამის პასუხია, სერიოზული სილის გარტყმაა ამ ზეაქტიურობაზე.

***— რაზე მიანიშნებთ, რომ შეიძლება ეს ფოტოები ქვეყნის გარეთ მოღვაწე სპეცსამსახურების ინტერესებიდან გამომდინარე გავრცელდა ექსპრეზიდენტ სააკაშვილის საწინააღმდეგოდ?***

— რატომაც არა. მით უმეტეს, ახლა. ცნობილია, რომ კადრები და უამრავი საიდუმლო მასალაა საქართველოდან გატანილი იგივე ნაციონალების მიერ. მაგალითად, გატანილია ფირები, ჩანაწერები და ეს ყველაფერი, იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ამას თავიანთ სკივრებში შეინახავენ. ეს ხვდება საერთაშორისო მასშტაბის, სხვადასხვა ინტერესების გამტარებელი ხალხის ხელში. თორემ, არავის, ქვეყნიდან გაქცეულ ადამიანს, რომელსაც აქვს უამრავ ადამიანზე კომპრომატი, მას ისე, რომელიმე ქოხში მშვიდად ცხოვრების საშუალებას არავინ აძლევს. ის აუცილებლად ხდება რომელიღაც სპეცსამსახურის ან დაცვის, ან დევნის ქვეშ და იმითაც ინარჩუნებს ის ადამიანი იმ ქვეყანაში ყოფნას. მე გვარ-სახელების დასახელებას არ დავიწყებ, მაგრამ საკმაოდ ბევრი მაღალჩინოსანი, ვისაც წვდომა ჰქონდა თუნდაც ამ კადრებზე, უცხოეთშია. შეიძლება მათ პირადი სურვილი არ ჰქონდეთ, მაგრამ მათ მფარველებს ანუ, ვისაც ისინი შეეფარნენ, თავისუფლად შეიძლება ეს გაეკეთებინოთ. ეს ძალიან მაღალი დონის თამაშებია. ეს არ არის, ასე ვთქვათ, „შიდა რაიონული“ მასშტაბის ბრძოლა. ეს ბრძოლა უკვე საერთაშორისო ასპარეზზე გავიდა. თან ძალიან კარგად შევატყვეთ, რომ სააკაშვილი ფაქტობრივად, მშვიდად წავიდა და რამდენადაც ვიცი, იმ პირობით, რომ ის პოლიტიკაში არ ჩაერეოდა. დღეს კი მეტეორივით შევარდა უკრაინულ პოლიტიკაში ანუ მსოფლიო პოლიტიკაში, თან არა მარტო თვითონ, არამედ ბიძა ალასანიასთან ერთად. ამ მასშტაბთან შედარებით ის მასშტაბი, რაც ნაციონალებმა მოგვაწოდეს, რომ აი, ივანიშვილმა რომ თავისი აზრი გამოთქვა მარგველაშვილზე. თუ მაინცდამაინც დაკავშირება გვინდა, მე იმას უფრო დავუკავშირებდი. ფაქტია, რომ ეს სკანდალური ფოტოები დაიდო.



***— რაიმე ახალი მოგცათ, როგორც ექსპერტს, ამ ფოტოებმა? გოგლა ჟვანიას კომენტარიდან ირკვევა, რომ ეს ფოტოები სს საქმეში დევს. თქვენ იცნობთ ჟვანიას ექსპერტიზის დასკვნას. რას იტყვით ამ ყველაფერთან?***

— დასკვნას ვიცნობ, ოღონდ დასკვნას ფოტოები არ ახლდა და არც მითითება ყოფილა, რომ გადაღებულია ფოტოები. ამის მითითება დასკვნაში არ ყოფილა, ამიტომ ჩემთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი დეტალი კი არა, ძალიან მნიშვნელოვანი რამ არის.

***— ახალი და მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოგცათ ფოტოებმა ყოფილი პრემიერის გარდაცვალებასთან დაკავშირებით?***

— კი, რა თქმა უნდა. აქ უამრავი ახალი ინფორმაცია იყო მართლა ძალიან მნიშვნელოვანი. მე საქმეს არც ვიძიებ და არც პირადი ინტერესი მაქვს გარდა იმისა, რომ მართლა ამდენი წელია ამ საკითხზე ვსაუბრობთ და უცებ ჩნდება ამ მნიშვნელობის ფოტოები. ჩემთვის ეს მართლა ამოცანა იყო. ძალიან უცნაური, მოულოდნელი და ძალიან წონადი იყო ამ კადრების გამოჩენა. იმდენად წონადი, რომ დღეს რომ ამბობენ, ვინ დადო ინტერნეტში ეს კადრებიო, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ დადო. იურისპრუდენციაში არსებობს ისეთი ცნება, როდესაც უფრო დიდი მნიშვნელობის რაიმეს იძლევა. ეს კადრები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ იმის ფონზე, თუ ვინ დადო, ეს კითხვა უკვე აქტუალობას კარგავს. ძალიანაც კარგი, რომ ეს კადრები დაიდო, იმიტომ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია. დაზიანება თუ პათოლოგიური პროცესი?.. პათოლოგიური პროცესი შეიძლება იყოს რაღაც დაავადება, რომელიც იწვევს, დავუშვათ, რაღაც გამოვლინებას. ის უბნები, რომელიც ვნახეთ თხემის მიდამოში, არის ეს დაავადებით თუ დაზიანებით გამოწვეული, ის აუცილებლად უნდა ეწეროს ექსპერტის დასკვნაში. იმიტომ უნდა ეწეროს, რომ ექსპერტი ხელს აწერს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

***— ეს ექსპერტის კეთილსინდისიერებათანაც არის კავშირში?***

— აქ კეთილსინდისიერება არაფერშუაშია. არის სპეციალობები, სადაც კეთილსინდისიერება ძალიან მნიშვნელოვანია. ექსპერტთან კეთილსინდისიერება, ცოტა არ იყოს, ღიმილის მომგვრელია. ექსპერტს აქვს ვალდებულებები. ის ვალდებულია კეთილსინდისიერიც იყოს, კანონიც დაიცვას და კეთილი ინებოს, თუ რამეს დაარღვევს, იქვე იცის, რომ ციხე ელის. ამაზე ყოველი დასკვნის დაწერის მერე აწერს ხელს ანუ ყოველი დასკვნის შედგენისას ხელს ციხეს აწერს. ექსპერტმა იცის, რომ თუ სიყალბეს დაწერს, რომელი მუხლით მოუწევს პასუხისგება. სისხლის სამართლის კონკრეტული მუხლით არის გაფრთხილებული, რომ სიყალბე არ უნდა დაწეროს. ეს ერთგვარი ავტოტრეინინგივით არის. ყოველ წუთში საკუთარ თავს ახსენებ, რომ მე გაფრთხილებული ვარ. კეთილსინდისიერი ვიქნები თუ უსინდისო, მთავარია, სიყალბე არ უნდა ჩავიდინო. მე ვალდებული ვარ, როგორც სამხედრო და ეს ყველა ექსპერტმა ვიცით. აქ ემოციების ადგილი არ არის, პირდაპირ ვალდებულებაა. აქ ეს ვალდებულება დარღვეულია. იმიტომ, რომ იქ რაღაც არის, რაც ჩვენი თვალით ვნახეთ. უკვე ამბობენ, რომ ეს კადრები ავთენტურია. პროკურატურის განცხადებამ ეს აჩვენა. ამ შემთხვევაში, რა მოხდა: ე.ი. იყო იქ რაღაც, რაც დასკვნაში არ აისახა.

***— ანუ რა გამოდის?***

— ის, რომ დასკვნა ყალბია. გათავდა, დასკვნა ყალბია ანუ მტკიცებულება ყალბია და უკვე გადაესვა ხაზი ყველაფერს, რაც იმ დასკვნაში წერია. რადგან ერთი დეტალი არ არის აღწერილი, ის მთელ დასკვნას აფუჭებს. გამორიცხულია, დასკვნის ერთი ნაწილი იყოს მართებული, ნამდვილი და მეორე ნაწილი იყოს ყალბი. დასკვნა ერთიანობაში ფუჭდება. შვიდი კაცის ხელმოწერილი დასკვნა, შვიდივემ პასუხისმგებლობაზე მოაწერა ხელი, არის ყალბი. აი, რატომ არის სამართლებრივად ამ კადრების გამოჩენა, გავრცელება ძალიან მნიშვნელოვანი. სხვათა შორის, პროკურატურის ასეთმა სწრაფმა რეაგირებამ გამაკვირვა. რაც მათ ამ დასკვნასთან მიმართებაში თქვეს, ასპროცენტიანია. პირველად ვეთანხმები პროკურატურას სრულად და ძალიან სწორად მიუდგნენ.

***— ანუ პროკურატურამ სამართლებრივად სწორად შეაფასა კადრების და ექსპერტიზის დასკვნის მაჩვენებლები?***

— პროკურატურის მხრიდან სწორად არის შეფასებული.

***— თქვენ საუბრობდით ჟვანიას გვამზე ტუჩის მიდამოსთან გამოკვეთილ სიშავეზე. ეს მიანიშნებს, რომ ჟვანიას დაზიანება ჰქონდა და ექსპრემიერი გაზით არ გაგუდულა?***

— იცით, რა არის?! ჯერ ვერაფერს ვიტყვი, უფრო სწორად, არ ვიტყვი იმიტომ, რომ ეს შეიძლება იყოს როგორც დაზიანება, ასევე დავუშვათ, რაიმე სხვა. ამას ვამბობ მანამ, სანამ ექსჰუმაცია ჩატარდება. ექსჰუმაციის მერე ეს ფირები უკვე სხვანაირ ძალას შეიძენს, მტკიცებულების წონას შეიძენს. მერე უკვე შესაძლებელი იქნება ბევრ რაღაცაზე საუბარი. უკვე დეტალური დაკვირვებით, არა ასე გავრცელებულია, არამედ ეს კადრები ალბათ მეტიც იქნება. როგორც ჩანს, ეს ამონარიდებია. ექსპერტი ჩაჩუა ამბობდა, ორი კამერა იღებდაო. თუ ის არსებობს, ანუ ვნახავთ მთლიანად მასალას, რასაც ჩაჩუა მიუთითებს. აქედან გამომდინარე უფრო დეტალურად იტყვი, რა არის და როგორ არის. მე არ ვიჩქარებდი დღეს შეფასებას მხოლოდ იმიტომ, რომ სამართლებრივად სწორი გზა არის გასავლელი, ჯერ ექსჰუმაციაა ჩასატარებელი, შედეგიანი იქნება თუ უშედეგო, მაგას მნიშვნელობა არ აქვს; და მერე ამ კადრების გაცოცხლება სამართლებრივად ანუ მტკიცებულებად ქცევა.

***— ექსჰუმაციის ჩატარება აუცილებელია?***

— ექსჰუმაცია აუცილებელია. თუ ექსჰუმაცია შედეგიანი იქნა, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ხოლო თუ უშედეგო, ეს კადრები არსებობს, ხომ?! და კადრები რომ არსებობს, ეს უკვე თავისთავად ნიშნავს, შეიძლება ახლა, ამ წუთას ეს კადრები არაფერს ნიშნავდეს, გარდა სარწმუნოობისა. მაგრამ ექსჰუმაციის მერე, იმ პირობებში, რომ ეს დასკვნა პრაქტიკულად ყალბია, ასე გამოდის ხომ, არასარწმუნოა. ამ შემთხვევაში ის კადრები ექსჰუმაციის მერე უკვე შეიძენს მტკიცებულების ძალას. ზოგადად ჩვენ ვამბობთ, ფოტოთი ექსპერტიზა არ ტარდება. კადრებზე ექსპერტიზა არ ტარდება. კი, ბატონო, არ ტარდება, მაგრამ რისთვის იღებს ექსპერტი ფოტოს და ვიდეოს? იმისთვის, რომ დავუშვათ ექსპერტმა მოატყუა, არსებობს ვიდეოჩანაწერი და კადრები. აქ ამუშავდება ზუსტად ეს პრინციპი, რომ რახან ის ტყუილია და არ აისახა ის, რაც იყო, მაშინ უკვე ამუშავდება ეს კადრები.

***— თავის დროზე გამოძიების ფედერალური ბიუროს წარმომადგენლებმაც გამოიძიეს ჟვანიას საქმე და ექსპერტიზაც ჩაატარეს. ფიქრობთ, რომ დიდი მასშტაბით მოხდა გაყალბება?***

— გვამზე არა. ის, უბრალოდ, იმ გამათბობელზე გვამაიმუნეს და მეტი არაფერი. როგორც მე გავიგე, საქართველოს მთავრობამ მიმართა თხოვნით, რომ დახმარებოდნენ. ისინიც დაუზარებლად ჩამოვიდნენ. იმ ბინაში, სადაც ალბათ სულ არ მომხდარა ეს ყველაფერი, როგორც ახლა უკვე მივდივართ. იქ, სადაც არ მომხდარა, რაღაც ექსპერიმენტი ჩაატარეს. შავი კატა იპოვეს ბნელ ოთახში, სადაც ის არ ყოფილა. აი, ეს ბერიას დროინდელი გამონათქვამი, სამწუხაროდ, ჩვენმა უცხოელმა კოლეგებმა საქართველოში წარმატებით დააგვირგვინეს.

***— გასაგებია, გარკვეული დაინტერესება თუ იყო, მაგრამ საუბარი ხომ მაღალი დონის პოლიტიკური ფიგურის სიკვდილის ფაქტის დადგენაზე იყო? ეს ბევრს არაფერს ცვლიდა?***

— როგორც ჩანს. გავიხსენოთ ვუდროფის მკვლელობის საქმე. სხვათა შორის, ეს საქმეც ექსპერტ ლევან ჩაჩუას გამოკვლეულია. აქ დაიწერა დასკვნა, რომ სროლის მიმართულება იყო ასეთი და ისეთი. იქ ჩატარდა ექსპერტიზა და რამდენადაც ამბობენ, ადვოკატი ჩამოვიდა და იმან თქვა, რომ იქაური დასკვნა არის საპირისპირო. ვინმემ იზრუნა საწყალ შარმაიძეზე?! თურმე ჩვენ, ამერიკელებმა გავიგეთ, რომ შენ უდანაშაულო ხარ, ტყუილად ზიხარ ციხეში და ეს ტყვია შენი ნასროლი არ არისო. აღადგინეს სამართლიანობა? გამოუშვეს შარმაიძე ციხიდან და მოუბოდიშა მას ვინმემ?! არა. მათ რაც იცოდნენ, თავისთვის დაიტოვეს. ამ სამართლიანობისთვის, სამწუხაროდ, მათ არ უზრუნიათ. ჩვენ არ უნდა გვქონდეს ილუზია, რომ აუცილებლად იმ ქვეყანაში, ან მეორე ქვეყანაში ჩვენთან სამართლიანობისთვის ვინმე იზრუნებს, არა. ეს ილუზიაა. ფაქტი ჯიუტია, იგივე ვუდროფის შემთხვევა და ჟვანიას ეს შემთხვევა... ჩამოიტანეს აპარატურა, გაზომეს, იყო თუ არა კონცენტრაცია, მიაღწია თუ არა ამან სასიკვდილო მაჩვენებელს. დაწერეს, არ მიაღწია. თუ იქ გაზი არ იყო ჩართული და გამათბობელი არაფერი შუაში იყო, რატომ მიაღწევდა?! ვინ ამაიმუნეს, ჩვენ? მე, მაგალითად, თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობ. გამოდის, ყველაფერი იცოდნენ და, უბრალოდ, მასხრად გვიგდებდნენ.

***— მთავარ პროკურატურაში დაკითხვიდან გამოსულმა ყოფილმა მთავარმა პროკურორმა მურთაზ ზოდელავამ ჟურნალისტებთან განაცხადა, რომ დარწმუნებულია, რომ ჟვანიას საქმეზე არაფერი შეიცვლება და ის დადასტურდება, რაც თავდაპირველად დადგინდა. კვალის დაფარვას ცდილობს ნაცმოძრაობა თუ საეჭვოა მართლაც განსხვავებული სურათი დაიდოს ჟვანია-უსუპოვის გარდაცვალების ფაქტზე?***

— ზოდელავას გამოძიებაზე ნუ ვილაპარაკებთ, რა. ნაციონალების გამოძიება და მათი პროკურატურა იყო ის, ვინმეს მიზანში ამოიღებდნენ, უბრალოდ, სნაიპერი არ ჰყავდათ და არ ხოცავდნენ, მაგრამ ნებისმიერ ადამიანს ღუპავდნენ, ყოველგვარი დამტკიცების გარეშე. რა უფლება აქვს ზოდელავას, გამოძიების ობიექტურობაზე ილაპარაკოს. საერთოდ, გამოძიებას აწარმოებდნენ?! დღეს ზოდელავას სიტყვის ამოღების უფლებაც არ უნდა მისცე. ეგ იყო ადამიანების გამაუბედურებელი „ჩეკა“, მეტი არაფერი.

***— თუ ეს ფოტომასალა საქმეში მართლაც იყო, როგორც კომენტარებიდან ირკვევა, მას იგნორირება გაუკეთდა თუ სხვა მიმართულება მიეცა გამოძიებას გამიზნულად?***

— არაფერი, უბრალოდ, ფოტოები შეინახეს ვიღაცის ხელში დასაჭერად. კომპრომატად შეინახეს, ეს არის. თორემ, საქმეში არსად არ არის საუბარი ამ ფოტოებზე. რა, ეს კომპრომატები პირველი იყო თუ უკანასკნელი. ეგენი კომპრომატებით ცხოვრობდნენ, ერთმანეთზეც ჰქონდათ კომპრომატები და ყველაზე. არ დადასტურდა? ლევან ჩაჩუა არ ამბობდა, ფალსიფიცირებულიაო?! ხომ აღმოჩნდა პროკურატურის განცხადების მერე, რომ არ არის ფალსიფიცირებული. დაწერეს, რაც უნდოდათ, სამაგიეროდ, იცოდნენ, სინამდვილეში რაც იყო და კომპრომატები ხელში ეჭირათ. დღეს ვიღაცები ამტკიცებენ, ნანახი გვაქვსო. ხათუნა გოგორიშვილი რისი სპეციალისტია? ბიოლოგია, თუ არ ვცდები. რომ ნახა, რა გაიგო რო?! მე რომ ახლა ბირთვულ რეაქტორში მიმიყვანონ და ბირთვული რეაქციები მაჩვენონ, გავიგებ რამეს? რამხელა თავხედები არიან, რომ ასეთ რაღაცებს ლაპარაკობენ. მე ვნახე, მერე რა, რომ ნახე, ვინა ხარ, სპეციალისტი ხარ, რომ ამბობ, ვნახეო. თან გარანტად გამოდის, მე ვნახეო.

***— ექსპერტებმა რეალურად დანაშაულის კვალი დაფარეს? შვიდივე ექსპერტს ეკისრება პასუხისმგებლობა?***

— არ ვიცი, ვინ რა დოზით სადამდე იყო მიშვებული. შეიძლება იყვნენ იქ ადამიანები, რომლებსაც უბრალოდ ხელი მოაწერინეს და არ მიუღიათ ექსპერტიზაში მონაწილეობა. არ ვიცი, ეს გაირკვევა, იმიტომ, რომ მანდ რეალურად ექსპერტი ორი იყო — სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი იყო ჩაჩუა და კახა ერისთავი. დანარჩენი იყვნენ პათანატომები. როცა ასეთი მყრალი რაღაც იყო, ყოველთვის პათანატომებს დაპატიჟებდნენ ხოლმე. სულ იმას ვამბობდი, რატომ რევთ ამ ხალხის, როცა ტრავმა და სასამართლო-საექსპერტო შემთხვევა არ არის მათი გამოცდილების შესაბამისი. ვამბობდი, იმ ადამიანებს ნუ ჰკიდებთ იმ პასუხისმგებლობას, რაც მათ არ ეკუთვნით.

**გახდომა 5-დან 20 კგ-მდე თვეში**
**გასუქება 2-დან 5 კგ-მდე თვეში**

ნარკოზის და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისაგან, [illegible] ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო [illegible]. დაიდგებით სასურველ წონაზე, შეინარჩუნებთ სტაბილურად შედეგს და სამუდამოდ დაივიწყებთ ამ პრობლემას.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი პროგრამები:**
სწრაფი და ეფექტიური ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა-დანიშნულებით. კურსის გამეორება შეუძლიათ სასურველ შედეგამდე. შედეგები 100%-იანია.

**ქ-ნი ქეთევანი**

**☎ 577-29-37-41, 247-58-83**

# ჟვანიას და უსუპოვის ცხედრებს ექსპერტიზას უცხოელი ექსპერტები ჩაუტარებენ

შორენა გონგლაძე

ზურაბ ჟვანიასთან დაკავშირებით გავრცელებული ვიდეო მასალის ნამდვილობას პროკურატურა ადასტურებს. მთავარი პროკურატურის საზოგადოებრივი ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი თეიმურაზ დოლიძე აცხადებს, რომ გავრცელებული კადრები ავთენტურია, ვინაიდან მსგავსი კადრები მოიპოვება საქმის მასალებშიც. დოლიძე ყოფილი მთავარი პროკურორის, მურთაზ ზოდელავას განცხადებასაც გამოეხმაურა და განაცხადა, რომ მურთაზ ზოდელავა აცხადებს, რომ ეს დელიკატური თემაა, მაშინ როცა, ჩვენებაში მან დააფიქსირა, რომ საქმეს არ იცნობს და ჩანაწერები ნანახი არ აქვს. შესაბამისად, გაუგებარია მისი განმარტება თემის დელიკატურობასთან დაკავშირებით, – განაცხადა თეიმურაზ დოლიძემ.

შეგახსენებთ, რომ მურთაზ ზოდელავამ მედიასთან კომენტარი გააკეთა პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაზე, რომლის მიხედვითაც, ზურაბ ჟვანიასა და რაულ უსუპოვის გარდაცვალების ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალა ყოფილი მთავარი პროკურორის, მურთაზ ზოდელავას სამუშაო ოთახში ინახებოდა. – ჟვანიას საქმის გამოძიება დასრულდა ჩემს პროკურორად დანიშვნამდე დიდი ხნით ადრე. ჟვანიას საქმეში იყო გარკვეული დელიკატური მომენტები, რის გამოც მისი საქმის ნაწილი ინახებოდა არა მურთაზ ზოდელავას კაბინეტში, არამედ პროკურატურის ყველაზე დაცულ კაბინეტში – მთავარი პროკურორის კაბინეტის სეიფში, – განაცხადა ზოდელავამ.

ასევე, როგორც გვიან ღამით გამართულ საგანგებო ბრიფინგზე მთავარ პროკურატურაში განაცხადეს, სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე 2014 წლის 20 მარტს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის განყოფილების ყოფილი გამგე ლევან ჩაჩუა დააკავა. პროკურატურის მიერ გამოქვეყნებული განცხადების თანახმად, გამოძიებით დადგინდა, რომ ლევან ჩაჩუამ ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას გვამის გამოკვლევისას გამოიჩინა გულგრილობა და არაჯეროვნად შეასრულა სამსახურებრივი მოვალეობა.



– გამოძიებით დადგენილია, რომ 2005 წლის 3 თებერვალს ლევან ჩაჩუამ ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ზურაბ ჟვანიასა და რაულ უსუპოვის გარდაცვალების საქმეზე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების მიზნით გვამების გამოკვლევისას გამოიჩინა გულგრილობა და არაჯეროვნად შეასრულა სამსახურებრივი მოვალეობა.

კერძოდ, სრულყოფილად არ აღწერა გვამებზე არსებული დაზიანებები მაშინ, როდესაც გვამებს აშკარად აღენიშნებოდა სიცოცხლისდროინდელი დაზიანებები. ვინაიდან წარმოებული გამოძიებით ეჭვქვეშ დადგა ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის ნამდვილობა, საქმეზე აუცილებელი გახდა ახალი ექსპერტიზის ჩატარება ზ. ჟვანიასა და რ. უსუპოვის გარდაცვალების რეალური მიზეზისა და გარემოებების დადგენის მიზნით. ლევან ჩაჩუას მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა დაწყებულია საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რომელიც სასჯელის სახედ და ზომად 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, – ნათქვამია განცხადებაში.

20 მარტს გავრცელებულ განცხადებაში პროკურატურამ აღნიშნა, რომ საჭირო იყო ჟვანიას და უსუპოვის გვამების ექსჰუმაცია და ახალი ექსპერტიზის ჩატარება, ვინაიდან საქმის ანალიზით დგინდება, რომ ჩატარებული ექსპერტიზები არასრულყოფილია. განცხადების თანახმად, პროკურატურა აწარმოებს ინტენსიურ მოლაპარაკებას სხვადასხვა ქვეყნის ავტორიტეტულ საექსპერტო დაწესებულებებთან, რათა უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით განხორციელდეს ეს პროცესი.

რაც შეეხება შესაძლო ექსჰუმაციის საკითხს, ამგვარი შესაძლებლობა პროკურატურამ რამდენჯერმე დააყენა შარშან და პრემიერ-მინისტრმა ღარიბაშვილმა ამის თაობაზე ისაუბრა, როდესაც განაცხადა, რომ ხელისუფლებას ერთ-ერთი შვეიცარიული ლაბორატორიის მოწვევა სურდა ექსპერტიზაში მონაწილეობისთვის.

ასევე ცნობილი გახდა, რომ საქართველოს მთავარმა პროკურატურამ სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე, რასაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მოყვა, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ზურაბ ჟვანიას დაცვის ცვლის უფროსი მიხეილ ძაძამია დააკავა. ამის შესახებ გუშინ პროკურატურაში სპეციალურად გამართულ ბრიფინგზე პროკურორმა ნათია მეზვრიშვილმა განაცხადა.

– საქართველოს მთავარმა პროკურატურამ სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე, რასაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მოყვა, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ზურაბ ჟვანიას დაცვის ცვლის უფროსი მიხეილ ძაძამია დააკავა. გამოძიებით დადგენილია, რომ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად პრემიერ-მინისტრის და მისი ოჯახის წევრების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებული და დამტკიცებული იქნა შესასრულებლად სავალდებულო „საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ზურაბ ჟვანიას და მისი ოჯახის წევრების დაცვითი ღონისძიებებით უზრუნველყოფის გეგმა“, რომლის თანახმად, პრემიერ-მინისტრის დაცვას არ შეეძლო მიეტოვებინა დასაცავი ობიექტი. მიუხედავად აღნიშნულისა, 2005 წლის 3 თებერვალს, ღამის საათებში, ზურაბ ჟვანიას დაცვის ცვლის უფროსმა მიხეილ ძაძამიამ არაჯეროვნად შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა და მიატოვა დასაცავი ობიექტი დაცვის გარეშე, რა პერიოდშიც ყოფილი პრემიერ-მინისტრი აღმოჩენილი იქნა გარდაცვლილი. ამავდროულად მიხეილ ძაძამიამ დადგენილი სავალდებულო მოთხოვნის მიუხედავად არ შეატყობინა დაცვის ღონისძიებების დაგეგმვის და ოპერატიული მართვის სამმართველოს შესაბამის განყოფილებას დასაცავი პირის გადაადგილების შესახებ, – აცხადებენ პროკურატურაში.

პროკურორ მეზვრიშვილის განცხადებით, ძაძამიამ ჩაიდინა სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვნად შესრულება მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც გამოიწვია ზურაბ ჟვანიას გარდაცვალება.

მიხეილ ძაძამიას მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა დაწყებულია საქართველოს სსკ-ის 342-ე მე-2 ნაწილით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4 წლამდე ვადით, – ნათქვამია განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია 2005 წლის თებერვალში გარდაიცვალა. გამოძიების ოფიციალური ვერსიის თანახმად, პრემიერ-მინისტრი არასწორად დამონტაჟებული გაზის გამათბობლიდან ნახშირჟანგის გაჟონვის შედეგად მოწამვლით გარდაიცვალა. შემთხვევა 2005 წლის 3 თებერვალს საბურთალოზე ერთ-ერთ ბინაში მოხდა. ჟვანიასთან ერთად იმავე ბინაში აღმოჩნდა ქვემო ქართლის რეგიონის გუბერნატორის მოადგილის რაულ უსუპოვის გვამი, რომელიც, არსებული ვერსიით, ასევე გაზით მოიწამლა. ამ საქმის გამოძიება 2012 წლის ბოლოს განახლდა მას შემდეგ, რაც კოალიცია „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში.

# სააპელაციო სასამართლო მზადაა ითანამშრომლოს დაინტერესებულ უმაღლეს სასწავლებლებთან

შორენა გონგლაძე

გუშინ თბილისის სააპელაციო სასამართლოში, გრიგოლ რობაქიძის სასწავლო უნივერსიტეტსა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება შედგა. მემორანდუმის მიზანია სასამართლოსა და უნივერსიტეტს შორის მჭიდრო, პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა სწავლების ხარისხის ამაღლებას.



როგორც სააპელაციო სასამართლოს მენეჯერმა გიორგი კოპალიანმა განაცხადა, თანამშრომლობა, რომელიც სტუდენტების მიერ სასამართლოში პრაქტიკის გავლასაც გულისხმობს, ხელს შეუწყობს სტუდენტთა კვალიფიციურ კადრებად ჩამოყალიბებას, რაც წარმატებული სასამართლო სისტემის მთავარი გარანტია. თანამშრომლობის მემორანდუმს ხელი მოაწერეს უნივერსიტეტის რექტორმა მამუკა თავხელიძემ და სააპელაციო სასამართლოს მენეჯერმა გიორგი კოპალიანმა.

მემორანდუმის ფარგლებში, სასამართლო დაეხმარება უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის დამამთავრებელი კურსისა და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს, სასამართლო პრაქტიკის ორგანიზებასა და განხორციელებაში.

ამავდროულად, სასამართლო გამოყოფს მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, უზრუნველყოფს სხდომის დარბაზებს უნივერსიტეტის მიერ იმიტირებული პროცესების ჩატარებისათვის, ასევე უზრუნველყოფს სამართლის ელექტრონულ ბიბლიოთეკაში უნივერსიტეტის მიერ მომზადებულ საქმეთა ანალიზების განთავსებასა და მათი შესაბამისი საქმის მოსამართლეებისათვის მიწოდებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლო აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებთან, მათ შორის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, თავისუფალ უნივერსიტეტთან, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტთან.

ამ მომენტისათვის სააპელაციო სასამართლოში 60-მდე სტუდენტი გადის სტაჟირებას, რომელთაგან რამდენიმე უკვე დასაქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში. როგორც ღონისძიებაზე განაცხადეს, საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო მზადაა ითანამშრომლოს დაინტერესებულ უმაღლეს სასწავლებლებთან, რითაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა პრაქტიკული ცოდნის ამაღლებას.

## ეროვნულ გამოცდებში 36 ათასზე მეტი აბიტურიენტი დარეგისტრირდა

ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის რეგისტრაციის პროცესი უკვე დასრულდა.

2014 წელს გამოცდებისათვის 36 ათასზე მეტი აბიტურიენტი, 19 ათასამდე პედაგოგი და მასწავლებლობის მსურველი, 12 ათასამდე მაგისტრანტობის კანდიდატი და 4500-მდე სტუდენტი დარეგისტრირდა. ამის შესახებ ერთიანი ეროვნული გამოცდების ხელმძრვანელის მაია მიმინოშვილის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

„საბოლოო მონაცემების გაზიარებამდე მინდა შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის საქმიანობის გაცილებით მნიშვნელოვან მიმართულებას შევეხო – საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევებს და სახელმწიფო შეფასებას, რომელთა შედეგები განათლების სისტემის ზუსტ და სრულ დიაგნოზს გვაძლევს, ცხადად გვიჩვენებს, რა მიმართულებით გვაქვს ყველაზე მეტი პრობლემა, რა უნდა გამოვასწოროთ და, რაც მთავარია, როგორ...კვლევებს 2006 წლიდან ვატარებდით. სამწუხაროა, რომ შედეგები, რომელიც ძალიან ღირებული ინფორმაციაა განათლების პოლიტიკის განსასაზღვრად, არავის გამოუყენებია. არადა, მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ სწორედ ასე შეძლო ყველაზე პროგრესული განათლების სისტემის შექმნა. 2013 წელს საშუალება მოგვეცა ისევ ჩავრთულიყავით საგანმანათლებლო კვლევებში, რომელშიც მსოფლიოს ათეულობით ქვეყანა მონაწილეობს. წელს ორ უმნიშვნელოვანეს კვლევას ვატარებთ – აქედან ერთი საერთაშორისოა, ერთი – ნაციონალური. პარალელურად ვიწყებთ კიდევ ორი საერთაშორისო კვლევის პილოტირებას. კვლევების დასრულების შემდეგ საქართველოში საგანმანათლებლო სფეროს ხარვეზებისა თუ პროგრესის ამსახველი კიდევ ერთი, მრავალმხრივი დასკვნა და შესაბამისი რეკომენდაციები გვექნება... თუმცა, მთავარი კვლავ შედეგების სწორად გააზრება და სისტემის გასაუმჯობესებლად გამოყენებაა“, – აღნიშნულია მაია მიმინოშვილის განცხადებაში.

მედიანიუსი

## მამა გაბრიელის წმინდა ნაწილები სამებაში აღდგომამდე დარჩება

წმინდა მამა გაბრიელ სალოსის ცხედარი ყოვლად წმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში აღდგომამდე დარჩება. ამის შესახებ ,,მედიანიუსს“ საპატრიარქოს პრესცენტრში განუცხადეს.

შეგახსენებთ, რომ მამა გაბრიელის წმინდა ნაწილები სამების საპატრიარქო ტაძარში 24 თებერვალს დააბრძანეს, სადაც ერთი კვირის განმავლობაში უნდა დარჩენილიყო, თუმცა მომლოცველთა დიდი ნაკადის გამო ვადა გაიზარდა.

წმინდა მამა გაბრიელ სალოსს სამების ტაძრიდან მცხეთაში სამთავროს მონასტერში გადაასვენებენ.

მედიანიუსი

## ბიძინა ივანიშვილის ორგანიზაცია მოქალაქე“ დირექტორმა დატოვა



პრესსამსახურის ინფორმაციით, ცვლილება ივანიშვილის გადაწყვეტილებით განხორციელდა.

ყოფილი პრემიერის ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის“ აღმასრულებელი დირექტორი გიორგი საბანაძე თანამდებობიდან გადადგა. საბანაძე აღნიშნულ თანამდებობაზე ფონდი ქართუს გამგეობის თავმჯდომარემ ნიკოლოზ ჩხეტიანმა შეცვალა. პრესსამსახურის ინფორმაციით, ცვლილება ივანიშვილის გადაწყვეტილებით განხორციელდა. მათი თქმით, გიორგი საბანაძეს სხვა სამსახურიც ჰქონდა და ამის გამო ის ვერ შეძლებდა, აღმასრულებელ დირექტორად ყოფნას.

ნიუსპოსტი

## დემოკრატიული მოძრაობა ქართველ მესაზღვრეებს პროფესიულ დღეს ულოცავს.

,,ძალზედ სამწუხაროა, რომ დღესდღეობით, მათ ჩვენი ქვეყნის, პრაქტიკულად ყოველდღიურად შემცირებული სასაზღვრო პერიმეტრის დაცვა უწევთ. თუმცა ამაში მესაზღვრეების დანაშაული ნამდვილად არ არის, ეს ხელისუფლების არასწორი და გაუბედავი პოლიტიკის შედეგია. დემოკრატიული მოძრაობა ქართველ მესაზღვრეებს უსურვებს ჯანმრთელობას, გამძლეობას, სულიერ სიმტკიცეს და იმას, რომ რაც პოლიტიკოსებმა რაც შეიძლება მალე შევძლოთ ჩვენს აფხაზ და ოს ძმებთან ჩატეხილი ხიდების აღდგენა და ჩვენმა მესაზღვრეებმა გაერთიანებული საქართველოს საზღვრებზე შეძლონ საკუთარი სამშობლოს დაცვა“, – ნათქვამია პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

მედიანიუსი

## ირაკლი ღარიბაშვილი ძიუდოში საერთაშორისო ტურნირის გახსნას დაესწრო



ძიუდოს ხელშეწყობასა და სპორტის ამ სახეობის განვითარების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ისაუბრა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გუშინ ძიუდოში საერთაშორისო ტურნირის – „თბილისის გრანპრის“ გახსნის ცერემონიაზე. მან ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციას მადლობა გადაუხადა ტურნირის ჩატარების ადგილად თბილისის შერჩევის გამო.

პრემიერმა ყურადღება ასევე გაამახვილა ტურნირის ჩატარების ორგანიზებაში საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ძიუდოს ფედერაციის მიერ შეტანილ წვლილზე, – აცნობეს „მედიანიუსს“ პრემიერის პრესსამსახურიდან.

„ჩვენ დიდ ყურადღებას ვუთმობთ ძიუდოს განვითარებას, ყველა პირობას ვუქმნით ძიუდოისტებს დაოსტატებისათვის, იმისათვის, რომ გახდნენ პროფესიონალი სპორტსმენები და მსოფლიოში გაუთქვან სახელი ჩვენს ქვეყანას. ძიუდოს ხელშეწყობა და სპორტის ამ სახეობაზე ზრუნვა განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია. ამიტომაც საქართველოს მთავრობამ საგრძნობლად გაზარდა დაფინანსება სპორტსმენთა საწვრთნელი პროცესისა და შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის. ჩემთვის ძალიან სასიხარულოა, რომ ამ დღეებში მსოფლიოს უძლიერესი სპორტსმენების გვერდით საასპარეზოდ გამოვა საქართველოს ძიუდოს ეროვნული ნაკრები, რომელმაც უკვე მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი. ჩვენი ქვეყანა არაერთხელ ასახელეს ქართველმა ძიუდოისტებმა და მჯერა, რომ ახლაც წარმატებით იასპარეზებენ და გაახარებენ გულშემატკივარს. სპორტი ერთმანეთთან აახლოებს ხალხებს და ჩვენ მზად ვართ, ჩვენი წვლილი შევიტანოთ ამ პროცესში. ჩვენ მზად ვართ ღირსეული მასპინძლობა გავუწიოთ საერთაშორისო დელეგაციებს,“– განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

მედიანიუსი

# გიორგი კეკელიძე: რთული მისია მაკისრია!“

ეკა ირემაშვილი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის 30 წლის დირექტორმა გიორგი კეკელიძემ დირექტორის თანამდებობაზე ორწლიანი მუშაობა შეაჯამა და საზოგადოებას ანგარიში ჩააბარა:

— მოკლედ, გავიდა 2 წელი ჩემი ბიბლიოთეკაში მუშაობიდან და, მიუხედავად იმისა, რომ გრძელ ტექსტებს დღეს ძალიან ცოტა კითხულობს, შევეცადე, შედარებით მოკლედ ჩაგაბაროთ ანგარიში და მოხარული ვიქნები, მოვისმინო თქვენი აზრიც. უამრავი სირთულის, სტრესული და გარდამავალი (პოლიტიკურადაც) სიტუაციების ფონზე, ბიბლიოთეკის თითოეული თანამშრომლისა და თქვენი, მკითხველების დახმარებით შევძელით, რომ ბიბლიოთეკა დღეს უამრავ პროექტშია ჩართული. ვფიქრობ, ჩვენი ქვეყნის მასშტაბით ის უკვე კულტურულ ბრენდად იქცა. აქვს რამდენიმე ტელეპროექტი, რომელსაც ჩვენი ინიციატივების პოპულარიზაციისთვის ვიყენებთ. დაიწყო აქტიური დიგიტალიზაცია, გაციფრებულია ათასობით ბეჭდური, ვიზუალური და აუდიომასალა. დაიძრა მნიშვნელოვანი ინიციატივები (ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“, ინტერნეტტელევიზია და ა.შ.), ბოლო წლების მანძილზე ბიბლიოთეკას ყველაზე მეტი ბეჭდური წიგნი შეემატა. გაიხსნა სხვადასხვა ახალი დარბაზი. დავაარსეთ ემიგრაციის, რეპრესირებული წიგნის და ორი ელექტრონული — ლიბერთი და ქართველოლოგის დარბაზები, რაც კერძო ბიზნესის ხელშეწყობით მოხერხდა. კერძო ბიზნესის დახმარებითვე ვქმნით ემიგრაციის დარბაზს და საბავშვო ოთახს, ვარემონტებთ წერა-კითხვის გამავრცელებელთა ოთახს, ვიწყებთ დიდი ფოტო-მატიანეს შექმნას. ფრანკფურტის უნივერსიტეტთან ერთად გავხსენით ქართული ენის კორპუსის კაბინეტი, რაც მართლაც ფუნდამენტური საქმეა. საზღვარგარეთ ვხსნით მცირე ქართულ ბიბლიოთეკებს, კიევში, ვენაში, სტამბოლში, პრატოში, ბაქოში, პრეტორიაში, მიუნხენში. მალე ნიცაში, ბარსელონაში, ათენში, ბარიში და კალაბრიაში გაიხსნება. დავიწყეთ აქცია, რომლის ფარგლებში ათასობით წიგნით და ასევე კომპიუტერებით დავეხმარეთ რაიონულ და სოფლის ბიბლიოთეკებს. ბიბლიოთეკამ მოიპოვა არაერთი უმნიშვნელოვანესი ემიგრანტული ან საქართველოსთან დაკავშირებული არქივი ბეჭდური თუ ელექტრონული სახით, მათ შორის ამერიკიდან, არგენტინიდან და ევროპიდან. ბევრი უცხოური ცენტრი უფასოდ ასწავლის ბიბლიოთეკარებს ენას, ბიბლიოთეკის შენობები, დამატებით ავლაბრის არალეგალური სტამბა, სადაც ორი მუზეუმის — საბჭოთა კვლევის და წიგნის ტექნოლოგიურ გახსნას ვგეგმავთ, ბიბლიოთეკას გადმოეცა, მანამდე ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე იყო. ჩვენი ინიციატივით, ყოველთვიურად თითო შეზღუდული შესაძლებლობის პირი ჩვენთან ასრულებს ანაზღაურებად სამუშაოს. შეიქმნა ელექტრონული განვითარების სინდიკატი, რომელიც წიგნებით და კომპიუტერებით ეხმარება სოფლის ბიბლიოთეკებს. დავიწყეთ საჯარო ლექციები და დებატები. გამოიცა ეროვნული ბიბლიოთეკის სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი და არაერთი სასაჩუქრე წიგნი. განახლდა ბიბლიოთეკის საიტი. მალე შევიძენთ ერთიან საბიბლიოთეკო პროგრამასაც, რომელიც ყველა განვითარებულ ქვეყანას აქვს. 2014 წლიდან ჩვენი წარდგენილი პროექტის მიხედვით მოიმატა ხელფასებმა. ამ დღეებში ალბათ დასრულდება მუშაობა და ეროვნული ბიბლიოთეკა საქართველოში, თბილისს გარეთაც წარმოდგება ახალი ფუნქციით. უახლოეს მომავალში გავაკეთებთ შესაბამის დარბაზს შეზღუდული შესაძლებლობების პირებისთვის. მთავარი მიზანი ახლა პირველი კორპუსის რესტავრაციის თანხების მოიპოვა და დიგიტალიზაციის პროცესის გაათმაგებაა. კიდევ რამდენიმე პროექტი მაქვს და მათი შესრულების შემდეგ, მშვიდად ჩაგაბარებთ საბოლოო ანგარიშს და ჩემს გზას ვეწევი. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მხარდაჭერისთვის.

26 მარტს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი თავისი ახალი წიგნის პრეზენტაციას გეგმავს. „ახალ თაობასთან“ საუბარიც სწორედ ამ თემით დაიწყო.

**გიორგი კეკელიძე:**

— 26 მარტს მაქვს წიგნის პრეზენტაცია, რომელიც მოიცავს 2008 წლიდან 2013 წლის ჩათვლით ჩემს პოეზიას და გულისხმობს იმ ლექსებს, რომელიც მე და რედაქტორმა ამოვარჩიეთ ერთობლივად. წიგნი გამოსცა „სიესტამ“ და მისი წინასიტყვაობის ავტორია ბატონი ზურაბ კიკნაძე, რომელიც მნიშვნელოვანი ადამიანია ქართული ჰუმანიტარული კულტურისთვის და ჩემი მასწავლებელია, რაც ჩემთვის უდიდესი პატივია. ეს ჩემი მეორე კრებულია „ოდების“ შემდეგ, რომელიც ფართო მკითხველის წინაშე წარდგება, მანამდე მქონდა პატარა პროექტები, მინიატურები, იყო მცდელობები, რომ მუსიკა და პოეზია ერთმანეთთან დამეკავშირებინა. ჩემმა წიგნმა „ოდები“, აიღო დებიუტში პრემია „საბა“. რა ბედი ელის ამ თვალსაზრისით ახალ წიგნს, ვერ გეტყვით, მაგრამ, იმედი მაქვს, რომ მკითხველი კარგად მიიღებს.

***— პრეზენტაცია ეროვნულ ბიბლიოთეკაშია?***

— არა, მწერალთა სახლში.

***— რატომ?***

— არ მინდა, ვისარგებლო იმით, რომ ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი ვარ და სხვებს წავართვა სივრცე. მეორე მხრივ, ცუდი ნამდვილად არ არის განახლებულ მწერალთა სახლში წიგნის პრეზენტაციის გამართვა.

***— ლექსების წერის პარალელურად, უკვე ორი წელია, გაბარიათ ამხელა უწყება...***

— ეს უმძიმესი საქმეა, საკმაოდ რთული მისია გახლავთ. ორი წელი შესრულდა 5 მარტს, რაც ამ ბიბლიოთეკაში ვმუშაობ. შეიძლება ითქვას, რომ რაღაც იდეები, რომლითაც მოვედი, განხორციელდა, რაღაც ნაწილი განსახორციელებელია. ვმუშაობთ სხვადასხვა მიმართულებით.

***— ქუთაისში ახალ ბიბლიოთეკას ხსნით?***

— არა. ჩვენ გვქონდა ინიციატივა, რომ გაგვეკეთებინა სერიოზული დეპოზიტარიუმი იმ წიგნებისა, რომლებიც საბჭოთა კავშირის დროს გამოდიოდა და დიდწილად დღეს მათი მოხმარება არ არის თანამედროვე ადამიანისთვის საინტერესო. იგულისხმება, მაგალითად, კოლმეურნეობის სხდომის ოქმები, რომლებიც გულისხმობს, ბუნებრივია, სრულიად უსარგებლო მასალას, მაგრამ ეროვნულ ბიბლიოთეკაში ვტოვებთ მათ ცალებს, მათი ათობით და ოცობით ეგზემპლარი გვქონდა და ამ სახის დეპოზიტარიუმი იქნება. ჩვენ არ გვინდა, ასეთი წიგნები მაკულატურისთვის გავწიროთ, როგორი უსარგებლოც არ უნდა იყოს. მთავარია, ძალიან დაზიანებული არ იყოს, შინაარსს არ აქვს მნიშვნელობა, რადგან ყველა წიგნი გარკვეულ ისტორიას ასახავს და გვინდა ასეთი ისტორიები იყოს შემონახული ქუთაისის დეპოზიტარიუმში. თუმცა დეპოზიტარიუმში მხოლოდ ასეთი წიგნები არ გვექნება. იქ იქნება სხვა საინტერესო წიგნებიც, უბრალოდ, თუ ბევრი ცალი გვაქვს, გადავიტანთ ქუთაისში. გარდა ამისა, იქ განვათავსებთ სამუშაო რეზიდენციებს, ეს მოიცავს პროცესს, რომლის მიხედვითაც სხვადასხვა ფონდებისა და სტიპენდიების მეშვეობით ჩამოვიყვანთ უცხოელ მეცნიერებს, იქ ვაცხოვრებთ. საქართველოს შესახებ ისინი დაწერენ სპეციალურ კვლევებსა და ნაშრომებს და გააცნობენ საქართველოს უცხოელებს.

***— რატომ ქუთაისში?***

— ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი არ გვაქვს. ამ შემთხვევაში ქუთაისში გამოვძებნეთ შენობა და ეკონომიკის სამინისტროსთვის ეს უფრო მოსახერხებელი იყო. სხვა დროს არ გამოვრიცხავთ, ასეთივე დეპოზიტარიუმი საქართველოს სხვა ქალაქებშიც დავაარსოთ. დიდწილად პრობლემა შენობის გადმოცემაშია, თორემ საქართველოს ნებისმიერ კუთხეში და ქალაქში ჩავალთ და გავხსნით ასეთ დაწესებულებას. ახალი შენობა ეკონომიკის სამინისტროს დახმარებით მოვიპოვეთ. თავიდან ვვარაუდობდით, რომ შენობა გამოიძებნებოდა თბილისში, მაგრამ შემდეგ უკეთესად მივიჩნიეთ, ასეთი შენობა, აჯობებდა, ყოფილიყო ქუთაისში, რომელიც დეცენტრალიზაციას შეუწყობდა ხელს. შენობა რეკონსტრუქციას საჭიროებს. ეროვნული ბიბლიოთეკა შენობის რეკონსტრუქციას მიმდინარე წელს მოზიდული ინვესტიციებით დაიწყებს.

***— ქუთაისის ბიბლიოთეკას ხომ არ შეუშლის ხელს თქვენ მიერ დაარსებული დეპოზიტარიუმი?***

— რასაკვირველია, არა. ჩვენ სპეციალურად გავითვალისწინეთ ეს მოცემულობა, ზოგადად კონკურენცია არ არის ცუდი, მაგრამ არა ახლა და ამ მდგომარეობაში, როცა ბიბლიოთეკებს ისედაც უჭირთ. ჩვენთან არ იქნება ტიპური სამკითხველო დარბაზები, ეს იქნება მხოლოდ დეპოზიტარიუმი და მხოლოდ ამ ფუნქციის მატარებელი.

***— რიგითი მკითხველი ვერ შევა ამ შენობაში?***

— არც რიგითი მკითხველი შევა და არც არავინ. ეს იქნება ჩვეულებრივი დეპოზიტარიუმი, რომელიც საცავის ფუნქციის მატარებელი იქნება და დაინტერესებულ პირებს შესაბამისი საშვის მეშვეობით შეეძლებათ შესვლა.

***— ბევრი ნოვატორად მიგიჩნევთ. რა არის თქვენი მთავარი ინიციატივა?***

— მთავარი ინიციატივა იყო რამდენიმე მიმართულება, მათ შორის, ეროვნული ბიბლიოთეკა გადაქცეულიყო საჯარო ტიპის ღია კულტურულ დაწესებულებად, ერთგვარ კულტურულ ბრენდად და, შესაბამისად, მაქსიმალურად ყოფილიყო მკითხველების ყურადღება კონცენტრირებული ჩვენი ბიბლიოთეკისკენ. მგონია, რომ ეს ასე თუ ისე მოვახერხეთ და გვსურს, ჩვენი ბიბლიოთეკა ყველა ადამიანისთვის იყოს საინტერესო. ჩვენ გავხსენით საზღვრები, ვატარებთ ძალიან ბევრ ღონისძიებას, ბევრ დისკუსიას, დებატებს. ვცდილობთ ტელეგადაცემებში აქტიურად იყოს ჩართული ბიბლიოთეკა, ასევე ვცდილობთ, მაქსიმალურად სხვადასხვა ტიპის დარბაზები გავხსნათ. შემოვიყვანეთ კერძო კომპანიები, გავხსენით ლიბერთის დარბაზი, ქართველოლოგიის ელექტრონული დარბაზი, ფრანკფურტის უნივერსიტეტთან ერთად ვხსნით და ვაფუნქციონირებთ ენის კორპუსის დარბაზს, ვაკეთებთ სარაჯიშვილის დარბაზს, რომელიც ქართველოლოგიური მიმართულების იქნება. კომპანია სარაჯიშვილი პირველი მერცხალია. გარემონტდება სამი ოთახი მესამე კორპუსში. მემორანდუმის ფარგლებში კომპანია „სარაჯიშვილი“ ეროვნული ბიბლიოთეკის ქართული ნაბეჭდი ერთეულის საარქივო ფონდის განყოფილების ფართს გაარემონტებს, სადაც შეიქმნება „დავით სარაჯიშვილის დარბაზი“. თავის დროზე დავით სარაჯიშვილმა თავისი ანდერძის თანახმად ყველაზე დიდი თანხა სწორედ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გამოუყო. კომპანია „სარაჯიშვილი“ სწორედ ამ საზოგადოების სახელობის დარბაზის ფართს გაარემონტებს. ეროვნული ბიბლიოთეკის მეორე კორპუსი, სადაც ეს ფართი მდებარეობს, ძმები კოსიაკოვების პროექტით არის აშენებული და რემონტის შემდეგ ფართს პირვანდელი სახე დაუბრუნდება. ასევე ვაკეთებთ ემიგრაციის დარბაზს და ძალიან ბევრი ემიგრანტული მასალა ჩამოგვივიდა ლევილიდან, ამერიკიდან, ეს ყველაფერი ხდება კერძო ბიზნესის ხელშეწყობით. თიბისი ბანკთან ხელი მოვაწერეთ მემორანდუმს, რომლის თანახმადაც, ის ეროვნულ ბიბლიოთეკას მხარს დაუჭერს ქართული ემიგრანტული ლიტერატურის მოძიებაში, ტრანსპორტირებასა და განთავსებაში. დოკუმენტზე ხელმოწერის შემდეგ ქართული ემიგრაციის დარბაზში გამართული გამოფენა გავხსნით. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული ემიგრანტული ლიტერატურა. ეროვნული ბიბლიოთეკის ქართული ემიგრაციის დარბაზში ინახება ქართველი ემიგრანტების შთამომავლების მიერ საჩუქრად გადმოცემული არქივები. მათ შორისაა ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩამოტანილი ოთარ და გივი ზალდასტანიშვილებისა და გრიგოლ დიასამიძის არქივები, რომლებიც ცნობილი საზოგადო მოღვაწეების წერილებს, მემუარებს, ნაშრომებს, საქართველოში აქამდე უცნობ დოკუმენტებს მოიცავს. ეროვნული ბიბლიოთეკის ემიგრანტული ლიტერატურის ფონდში ასევე ინახება საფრანგეთიდან, ლევილის მამულიდან ჩამოტანილი უნიკალური კოლექცია, რომელიც მოიცავს ქართველ ემიგრანტთა ხელნაწერებს, ემიგრანტულ ლიტერატურასა და პერიოდულ გამოცემებს. მათ შორისაა ნოე ჟორდანიას შთამომავლებისა და დავით საღირაშვილის არქივები, ნუცა ჩოლოყაშვილის მიერ გადმოცემული ლიტერატურა და სხვა მასალები. ეროვნული ბიბლიოთეკა თიბისი ბანკის მხარდაჭერით მომავალშიც გააგრძელებს ქართული ემიგრანტული ლიტერატურის მოძიებასა და საქართველოში ჩამოტანას. „ჯეოსელთან“ ერთად კი ვაკეთებთ ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვან პროექტს, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა ადამიანების, ჩვენი წინაპრების ფოტოების მოძიებას, გაციფრებას და ელექტრონულ სივრცეში განთავსებას. მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი საქმე იწყება. „ჯეოსელის“ დირექტორ პასი კოისტინენთან გავაფორმეთ ხელშეკრულება და სოფელ-სოფელ, კარდაკარ დავივლით და გავაციფრებთ ყველა ფოტოს, რის ნებართვასაც ოჯახები მოგვცემენ, ამით შევქმნით ეროვნულ ციფრულ ფოტომატიანეს. ისტორიკოსებს კი წლების მერე საშუალება ექნებათ ქართულ ყოველდღიურობას დააკვირდნენ. ამ პროექტში ჩართვა შეუძლია ყველას, სულაც არ არის აუცილებელი, რომ ეს ადამიანი ან მისი წინაპარი იყოს საზოგადოებისთვის ცნობილი. ჩვენი სურვილია, ნებისმიერი რიგით ადამიანი ჩავრთოთ ამ საქმეში. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მრავალ ოჯახში არის გაბნეული უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია ფოტოებისა და სხვა დოკუმენტების სახით. ჩვენ გვინდა, აღმოვაჩინოთ და შევაგროვოთ ოჯახებში შენახული, საზოგადოებისათვის აქამდე უცნობი მასალები, ვაქციოთ ისინი ციფრულ ვერსიად და თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით გადავცეთ მომავალ თაობებს. ჩვენ უკვე შევხვდით თურქეთის ელჩს საქართველოში ზექი ლევენთ გუმრუქჩუს და იუნუს ემრეს ცენტრის წარმომადგენლებს. შეხვედრის შედეგად გადაწყდა, რომ ორინატალისტიკის დარბაზში ამიერკავკასიაში ყველაზე დიდი თურქულენოვანი ბიბლიოთეკა და მედიათეკა გაიხსნება, იმ ტიპის, როგორც დიუმას დარბაზია. იუნუს ემრეს ინსტიტუტი ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლებს თურქული ენის შემსწავლელ უფასო კურსებს შესთავაზებს. ცენტრი დაგვეხმარება იმავე ფუნქციის ქართული ბიბლიოთეკების გახსნაში თურქეთის ქალაქებში. ჩვენ ასევე ვიწყებთ დიდ აქციას: საქმე ეხება ბიბლიოთეკის მეორე კორპუსის „ნაბიჯ-ნაბიჯ“ გარემონტებას კერძო ბიზნესის მიერ, თან ისე, რომ სამკითხველო პროცესი არ შეფერხდეს. შევხვდები ყველა ბიზნესმენს და შევეცდები დავარწმუნო, რომ ისინი ნამდვილ სახელმწიფოებრივ საქმეს აკეთებენ. ასევე გვაქვს პროექტი ინტერნეტ-ცნობარი, რომელშიც ქართველი ავტორების ბიოგრაფიული და ბიბლიოგრაფიული მონაცემებია გაერთიანებული, თანაც ეს უკვე ყველაზე დიდი ბაზაა.



***— ბავშვების დაინტერესების მიზნით რა პროგრამებს ახორციელებთ?***

— საბავშვო დარბაზი გვაქვს, მაგრამ ჩვენ მისი განახლება გვინდა. დიზაინერები შეადგენენ მის მოდელს. ბიბლიოთეკის მომავალი მკითხველებისთვის, ბავშვებისთვის გავაფორმეთ ხელშეკრულება დიალოგისა და განვითარების ფონდთან. მალე დაიწყება რემონტი და გვექნება თანამედროვე საბავშვო ოთახი შესაბამისი ტექნოლოგიური აღჭურვილობით, სამკითხველო კარვებით და ასე შემდეგ. ბავშვთა ოთახში ჩატარდება სხვადასხვა სახის საბავშვო ღონისძიებები სოციალურად დაუცველი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის. განახლება კერძო ინიციატივის მეშვეობით იგეგმება, კერძოდ, დიალოგისა და განვითარების ცენტრის და ქალბატონი რამილია ალიევას ხელშეწყობით, რომელმაც თავის თავზე აიღო პატრონაჟი ამ დარბაზისა. ის კერძო ინვესტიციებს მოიზიდავს. ეს უნდა იყოს დარბაზი, საიდანაც ბავშვები დაიწყებენ ყოველდღიურად წიგნთან ურთიერთობას და ეს მათი წესი გახდება. მოგეხსენებათ, ბავშვების დარბაზს ყველანი განსაკუთრებულად ვზრუნავთ. საბავშვო დარბაზი გვაქვს, მაგრამ გვინდა გავაკეთოთ უფრო ახალი და თანამედროვე. თუმცა ეროვნული ბიბლიოთეკის „საბავშვო ოთახი“ აგრძელებს ინიციატივას და დევნილთა დასახლებებიდან და კონფლიქტის რეგიონში მცხოვრები ბავშვების ექსკურსიები ეროვნულ ბიბლიოთეკაში და მათი წიგნებით დასაჩუქრება გრძელდება. რამდენიმე დღის წინ ჩვენთან იმყოფებოდნენ ახალსოფლის, ხურვალეთისა და გალავნის დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ადგილებში მცხოვრები მოსწავლეები, რომლებიც ჩვენი მომავალი მკითხველები არიან. მათ ეროვნულ ბიბლიოთეკაში ექსკურსია ჩაუტარდათ, შეხვდნენ მწერალ ნიკა წულუკიძეს და ბოლოს ლიტერატურის მუზეუმს ესტუმრნენ.

***— თქვენ მიერ დაანონსებულმა აფხაზური და ოსური ერის კუთხის გახსნამ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.***

